პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

კომუნისти — орган ЦК и ТК КП Грузии и Советов депутатов трудящихся Грузинской ССР

№ 27 (9803) | სამშაბათი, 2 თებერვალი, 1954 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერშია:

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად მშრომელები ერთსულოვნად ასახელებენ ჩვენი ქვეყნის ღირსეულ შვილებს (1-ლი გვერდი).

გაიხსნა პირდაპირი სამგზავრო მიმოსვლა მოსკოვი—პეკინი (1-ლი გვერდი).

საქართველოს ქვანახშირის კომბინატმა გადაჭარბებით შეასრულა იანვრის გეგმა (1-ლი გვერდი).

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1953 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ. — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობა (მე-2, მე-3 და მე-4 გვერდი).

ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების ბერლინის თათბირი (მე-4 გვერდი).

ვ. მ. მოლოტოვის შეხვედრა ჯ. დალესთან (მე-4 გვერდი).

დარაბაზობა სსრ კავშირის [illegible] (მე-4 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

საბჭოთა ხალხის მტკიცე ერთიანობა

მშრომელთა უდიდესი პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში დაიწყო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა დასახელება. წინასაარჩევნო კრებები, რომლებზეც მშრომელები თავიანთ რჩეულებს ასახელებენ, მიმდინარეობს კომუნისტური პარტიისა და ხალხის მტკიცე ერთიანობის ნიშნით. კრებებზე გამოსული ორატორები — მუშები და კოლმეურნეები, მეცნიერები და მოსამსახურეები სიყვარულით, მადლიერების გრძნობით ლაპარაკობენ საბჭოთა საზოგადოების ხელმძღვანელ და წარმმართველ ძალაზე — კომუნისტურ პარტიაზე, მისი წინამძოლობით საბჭოთა ხალხის მიერ მოპოვებულ მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებებზე. საბჭოთა ადამიანების ეს გრძნობები გასაგებია. მათ ათეული წლების გამოცდილებით იციან, რომ კომუნისტური პარტიის მთელი მოღვაწეობა ხალხისადმი უანგარო სამსახურის ბრწყინვალე მაგალითია, რომ კომუნისტური პარტიის პოლიტიკა მშრომელთა სასიცოცხლო ინტერესების გამომხატველი, ხალხთა შორის მშვიდობიანი თანამშრომლობის, ძმობისა და მეგობრობის პოლიტიკაა.

დიდი ლენინისა და სტალინის მიერ შექმნილი დიადი კომუნისტური პარტია იმ გმირული ბრძოლის შთამაგონებელი და ხელმძღვანელია, რომელსაც საბჭოთა ხალხი ეწევა სოციალისტური სამშობლოს ეკონომიური და პოლიტიკური ძლიერების განსამტკიცებლად, კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

დღეს ჩვენს გაზეთში ქვეყნდება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1953 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ. ეს ცნობა მკაფიოდ ადასტურებს სოციალისტური ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში ლენინ—სტალინის პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხის მიერ მოპოვებულ შესანიშნავ წარმატებებს. მნიშვნელოვანი მიღწევებია მოპოვებული სოციალისტური მრეწველობის განვითარებაში. მთლიანად მრეწველობამ საერთო პროდუქციის წარმოების წლიური გეგმა 101 პროცენტით შეასრულა, მთელი მრეწველობის საერთო პროდუქცია 1953 წელს 1952 წელთან შედარებით გაიზარდა 12 პროცენტით, ხოლო 1950 წელთან შედარებით — 45 პროცენტით. ეს იმას ნიშნავს, რომ მეხუთე ხუთწლედის დავალება სამრეწველო პროდუქციის გადიდების დარგში წარმატებით სრულდება.

გასულ წელს საბჭოთა მთავრობის მიერ მიღებულ მთელ რიგ ღონისძიებათა განხორციელების შედეგად მკვეთრად ამაღლდა სახალხო მოხმარების საგნების წარმოება. თუ მრეწველობის ამ დარგების პროდუქციის გამოშვება 1952 წელს 10,5 პროცენტით გაიზარდა, გასულ წელს იგი 12 პროცენტით გადიდდა. საგრძნობლად გაფართოვდა იმ საქონლის გამოშვება, რომელზეც განსაკუთრებით მაღალია მოსახლეობის მოთხოვნილება.

სერიოზული მიღწევებია მოპოვებული სოფლის მეურნეობაშიც. ნათესი ფართობები გასულ წელს 1952 წელთან შედარებით 1.400 ათასი ჰექტარით გადიდდა. გაფართოვდა შაქრის ჭარხლის, ზეთოვანი კულტურების, კარტოფილის, ბოსტნეულისა და ბაღჩეული კულტურების ნათესები, ასევე გაიზარდა კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი პირუტყვის სულადობა.

გასულ წელს შემდგომ ვითარდებოდა საბჭოთა ვაჭრობა. გადაჭარბებით შესრულდა საცალო საქონელბრუნვის გეგმა. მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის ამაკვლობას ცხადყოფს სახალხო მეურნეობაში ჩაბმულ მუშათა და მოსამსახურეთა რიცხვის საგრძნობი გადიდება, ნაციონალური შემოსავლის ზრდა, რაც 1952 წელთან შედარებით 8 პროცენტს შეადგენს, და მუშა-მოსამსახურეთა ხელფასის გადიდება. გასული წელი ხასიათდება საბჭოთა ხალხის კულტურული დონის შემდგომი ამაღლებით.

კომუნისტური პარტია ხალხის მთელ ძალებსა და ინიციატივას მიმართავს პარტიის XIX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისაკენ, პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დადგენილებათა შესრულებისაკენ, რაც კიდევ უფრო მძლავრსა და ძლევამოსილს გახდის ჩვენს სოციალისტურ სამშობლოს, კიდევ უფრო აამაღლებს საბჭოთა კავშირის მშრომელთა მატერიალურ-კულტურული კეთილდღეობის დონეს.

ახლა, როცა მშრომელები ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში წარმოადგენენ თავიანთ რჩეულებს ასახელებენ, ისინი თვითეული კანდიდატის ღირსებაზე გულდასმით მსჯელობენ, ასახელებენ სწორედ ისეთებს, რომლებსაც უნარი შესწევთ გაამართლონ ხალხის მსახურის დიდი და საპატიო სახელი, მთელი სიმტკიცით დაიცვან და ცხოვრებაში გაატარონ პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკა.

საქართველოს მშრომელებმა დეპუტატობის კანდიდატებად დაასახელეს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწენი, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები ამხანაგები გ. მ. მალენკოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, ვ. მ. მოლოტოვი, ნ. ა. ბულგანინი, კ. ე. ვოროშილოვი, ა. ი. მიქოიანი, მ. ზ. საბუროვი, მ. გ. პერვუხინი, ნ. მ. შვერნიკი, პ. კ. პონომარენკო, მ. ა. სუსლოვი, პ. ნ. პოსპელოვი, ნ. ნ. შატალინი. ეს იმ სისხლხორცეული კავშირისადმი ერთგულების გამოხატულებაა, რაც ჩვენს ქვეყანაში კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა მთავრობასა და ხალხს შორის არსებობს, იმის მკაფიო დადასტურებაა, რომ ჩვენს ხალხს სჯერა და სწამს თავისი პარტიისა და მთავრობისა, რომლებსაც ჩვენი ქვეყანა განუხრელად მიჰყავთ წინ კომუნიზმის საბოლოო გამარჯვებისაკენ.

საბჭოთა წყობილების დიდი უპირატესობა ბურჟუაზიული წყობილების წინაშე, სხვა უპირატესობებთან ერთად, ისიც არის, რომ სოციალისტური სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში მონაწილეობენ მშრომელთა უფართოესი მასები. ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში ხალხი თავის რჩეულებად გზავნის მოწინავე მუშებსა და კოლმეურნეებს, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ფრონტის სანუკვარეს წარმომადგენლებს.

თბილისის მანქანათმშენებელი ქარხნის კოლექტივმა კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა ნოვატორი ხარატი გაბრიელ პეტრესძე სუხინი, თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა წინასაარჩევნო კრებამ ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად — ფაბრიკის მოწინავე მუშა, მჭსოველი მაგდან დავითის ასული ბურჯანაძე. დეპუტატობის კანდიდატებად დასახელებული არიან ჭუთაისის ლიტოპონის ქარხნის ინჟინერ-ტექნოლოგი რუსუდან დავითის ასული კახაძე, ჭობურეთის რაიონის სოფელ ხუცუბნის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ხ. დ. ბაჟუნაშვილი და სხვები.

დასახელებულ დეპუტატობის კანდიდატთა შემადგენლობა თვალსაჩინოდ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ჩვენს ქვეყანაში ადამიანის მდგომარეობას, მისდამი ხალხის ნდობასა და სიყვარულს განსაზღვრავს არა სოციალური წარმოშობა, არა ჭონგრივი ცენზი, არა ეროვნული კუთვნილება, არამედ ადამიანის პირადი ღირსება, მისი უნარი და შრომა, მისი პატიოსანი სამსახური ხალხისადმი, საერთო საქმისადმი.

საარჩევნო კამპანია თანდათან უფრო ფართოდ ჩაღდება. გრძელდება დეპუტატობის კანდიდატთა წამოყენება. ასახელებენ რა ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში წარსაგზავნ თავიანთ რჩეულებს, ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები კიდევ უფრო მჭიდროდ იკრიბებიან თავიანთი მშობლიური კომუნისტური პარტიის, საბჭოთა მთავრობის გარშემო.

აღსავსენი მტკიცე გადაწყვეტილებით — კვლავაც განუხრელად იარონ კომუნისტური პარტიის მიერ ნაჩვენები გზით, რადგან ეს გზა ბედნიერებისა და გამარჯვების გზაა, საქართველოს მშრომელები კიდევ უფრო ამრავლებენ თავიანთ ძალებს პარტიისა და მთავრობის მიერ ჩვენი ქვეყნის წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტისათვის, სოციალისტური სამშობლოს ეკონომიური ძლიერების განმტკიცებისათვის.

ი. ბ. სტალინის თხზულებათა მესამე ტომი კორეულ ენაზე

ფხენიანი. (საკდესი). გაზეთ „ნოდონ სინმუნის“ ცნობით, კორეულ ენაზე გამოვიდა ი. ბ. სტალინის თხზულებათა მესამე ტომი.

გამოიცა პ. ნ. პოსპელოვის მოხსენება „ვ. ი. ლენინის გარდაცვალების XXX წლისთავის შესახებ“

პოლიტიკური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ ცალკე ბროშურად გამოუშვა ამხ. პ. ნ. პოსპელოვის მოხსენება საზეიმო-სამგლოვიარო სხდომაზე მოსკოვში 1954 წლის 21 იანვარს „ვ. ი. ლენინის გარდაცვალების XXX წლისთავის შესახებ“.

ბროშურა გამოიცა მასობრივი ტირაჟით. (საკდესი).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად მშრომელები ერთსულოვნად ასახელებენ ჩვენი ქვეყნის ღირსეულ შვილებს

★

ლენინგრადი

ლენინგრადი, 30 იანვარი. (საკდესი). დღეს ვ. მ. მოლოტოვის სახელობის ფოლადსადგინავ ქარხანაში გაემართა მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა წინასაარჩევნო კრება, რომელიც მიეძღვნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა დასახელებას.

კრებაზე გამოვიდნენ წარმოების მოწინავე მუშაკი ნ. დუდნიკი, სარემონტო საამქროს მუშა ფ. ფილომონოვი, ქარხნის პარტბიუროს მდივანი შ. სანიკიძე, თუთიის საამქროს მუშა ს. ბოგუსლავსკი და სხვები.

მათ ერთსულოვნად შეიტანეს წინადადება კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად დაასახელონ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი ამხანაგი გიორგი მაქსიმილიანეს-ძე მალენკოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი კლიმენტ ეფრემის-ძე ვოროშილოვი, აგრეთვე ლიტოპონის ქარხნის ინჟინერ-ტექნოლოგი რუსუდან დავითის ასული კახაძე.

კრებამ ერთხმად დაადგინა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად ჭუთაისის № 631 საარჩევნო ოლქში დაასახელოს **გ. მ. მალენკოვი, კ. ე. ვოროშილოვი, რ. დ. კახაძე.**

ხალხმრავალი წინასაარჩევნო კრება გაიმართა ჭუთაისის საავტომობილო ქარხანაში. საავტომობილო ქარხნის კოლექტივმა დიდი ერთსულოვნობით გადაწყვიტა ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად ჭუთაისის № 135 საარჩევნო ოლქში დაასახელოს ამხანაგები **გ. მ. მალენკოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, ნ. ნ. შატალინი** და საქართველოს კომუნისტური პარტიის ჭუთაისის საქალაქო კომიტეტის მდივანი **მ. ა. მეგრელიშვილი.**

მანქანათმშენებელ ქარხანა „მაღაროელის“ კოლექტივმა უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად დაასახელა ამხანაგები **კ. ე. ვოროშილოვი, ნ. ა. ბულგანინი** და **მ. ზ. საბუროვი.**

დიდი პოლიტიკური აქტივობით ჩაიარა წინასაარჩევნო კრებამ ჭუთაისის ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატში.

კრების დამსწრეებმა ერთსულოვნად მიიღეს დადგენილება — დაასახელონ **ვ. მ. მოლოტოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი** სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად ჭუთაისის № 135 საარჩევნო ოლქში. (საქდესი).

თბილისი

თბილისის საწარმოებში, დაწესებულებებსა და სასწავლებლებში კვლავ დიდი აღმავლობით იმართება წინასაარჩევნო კრებები, რომლებიც მიძღვნილია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატების დასახელებისადმი.

სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა ხალხმრავალ კრებაზე პარტკომის მდივანმა ამხ. ვ. ნინოშვილმა შეიტანა წინადადება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად თბილისის — სტალინის № 624 საარჩევნო ოლქში დასახელებულ იქნას სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხანაგი **გიორგი მაქსიმილიანეს-ძე მალენკოვი.**

შემდეგ გამოსულებმა წინადადება შეიტანეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად თბილისის — სტალინის № 624 საარჩევნო ოლქში დასახელონ აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ამხანაგ **ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვი,** საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხანაგი **ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი** და თბილისის მანქანათმშენებელი ქარხნის ნოვატორი ხარატი **გაბრიელ პეტრეს-ძე სუხინი.**

კრებამ მიიღო დადგენილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად თბილისის სტალინის № 624 საარჩევნო ოლქში დასახელებულ იქნან ამხანაგები **გ. მ. მალენკოვი, ვ. მ. მოლოტოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი** და ხარატი **გ. პ. სუხინი.**

საწარმოს კოლექტივმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად თბილისის — ლენინის № 147 საარჩევნო ოლქში დაასახელა ამხანაგები **კ. ე. ვოროშილოვი, ნ. ა. ბულგანინი, პ. ნ. პოსპელოვი** და თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის სოლისტი **ლ. მ. გაორგაძე.**

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის ინსტიტუტის ფილიალის — საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელთა და მოსამსახურეთა კოლექტივმა კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად თბილისის — კალინინის № 625 საარჩევნო ოლქში დაასახელა ამხანაგები **ვ. მ. მოლოტოვი, ლ. მ. კაგანოვიჩი, მ. გ. პერვუხინი.**

თბილისის მოლოტოვის სახელობის № 2 ფეხსაცმლის ფაბრიკის კოლექტივის საერთო კრებამ კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად თბილისის — კალინინის № 625 საარჩევნო ოლქში დაასახელა ამხანაგები **გ. მ. მალენკოვი, ვ. მ. მოლოტოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, მ. გ. პერვუხინი.**

მეფეხსაცმელეებმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად თბილისის — საქალაქო № 144 საარჩევნო ოლქში დაასახელეს ამხანაგები **კ. ე. ვოროშილოვი, ლ. მ. კაგანოვიჩი, ნ. ნ. შატალინი** და საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი **ე. ა. სეხნიაშვილი.**

თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს კოლექტივმა კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად თბილისის — სტალინის № 624 საარჩევნო ოლქში დაასახელა ამხანაგები **გ. მ. მალენკოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, ნ. ნ. შატალინი** და მანქანათმშენებელი ქარხნის ნოვატორი ხარატი **გ. პ. სუხინი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად თბილისის — საქალაქო № 145 საარჩევნო ოლქში დასახელებულ არიან ამხანაგები **კ. ე. ვოროშილოვი, ვ. მ. მოლოტოვი** და ქალაქ თბილისის მშრომელთა დეპუტატების ლენინის რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **დ. ა. ჭიჭინაძე.** (საქდესი).

აჭარის ასსრ

დიდი პატრიოტული აღმავლობით მიმდინარეობს საბჭოთა აჭარაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა დასახელებისადმი მიძღვნილი წინასაარჩევნო კრებები.

მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა ხალხმრავალი კრება გაიმართა სტალინის სახელობის ბათუმის ნავთობგადამმუშავებელ ქარხანაში.

კრებაზე გამოვიდა მეხუთე საამქროს უფროსი პ. რიეკოვი, რომელმაც შეიტანა წინადადება, რომ კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელებულ იქნას სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხანაგი გიორგი მაქსიმილიანეს-ძე მალენკოვი.

ამავე კრებაზე კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად დაასახელეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გივი დიმიტრის-ძე ჯავახიშვილი.

კრებამ ერთხმად დაადგინა დაასახელოს ამხანაგები **გ. მ. მალენკოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, გ. დ. ჯავახიშვილი** სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად ბათუმის № 628 საარჩევნო ოლქში.

ხულოს რაიონის სოფელ ოქტომბრის ორჯონიკიძის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის კოლმეურნეთა საერთო კრებამ ერთხმად დაადგინა ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად საქართველოს სს რესპუბლიკიდან ბათუმის № 132 საარჩევნო ოლქში დაასახელოს ამხანაგები **ვ. მ. მოლოტოვი, კ. ე. ვოროშილოვი** და საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოების განყოფილების გამგე **ო. დ. გოცირიძე.**

ჭობურეთის რაიონის სოფელ მუხაესტატეს ანდრეევის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის კოლმეურნეებმა ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად აჭარის ასს რესპუბლიკიდან ჭობურეთის № 416 საარჩევნო ოლქში დაასახელეს ამხანაგები **პ. ნ. პოსპელოვი, ნ. ნ. შატალინი** და საქართველოს კომუნისტური პარტიის ჭობურეთის რაიკომის მდივანი **ნ. ჰ. გოგიტიძე.**

ქობულეთის რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა კრებაზე ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად აჭარის ასს რესპუბლიკიდან ჩაქვის № 417 საარჩევნო ოლქში დაასახელეს ამხანაგები **გ. მ. მალენკოვი, ვ. მ. მოლოტოვი** და ქობულეთის რაიონის სოფელ ხუცუბნის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე **ხ. დ. ბაჟუნაშვილი.**

ქედის რაიონის სოფელ ქედის XIX პარტყრილობის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის კოლმეურნეთა კრებამ ერთხმად დაადგინა ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად აჭარის ასს რესპუბლიკიდან ქედის № 420 საარჩევნო ოლქში დაასახელოს ამხანაგები **ა. ი. მიქოიანი, მ. ზ. საბუროვი** და საქართველოს კომუნისტური პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანი **დ. მ. მამულაძე.**

ხულოს რაიონის სოფელ დიოკნისის პარიზის კომუნის სახელობის კოლმეურნეობისა და სოფელ ოქრუაშვილების XIX პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად აჭარის ასს რესპუბლიკიდან ხულოს № 421 საარჩევნო ოლქში დაასახელეს ამხანაგები **მ. გ. პერვუხინი, ნ. მ. შვერნიკი** და ხულოს პედაგოგიური სასწავლებლის დირექტორი **ე. ბ. აბულაძე.**

ბათუმის რაიონის სოფელ ერგეტის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ხალხმრავალ კრებაზე ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად აჭარის ასს რესპუბლიკიდან ხულოს № 422 საარჩევნო ოლქში დაასახელეს ამხანაგები **გ. მ. მალენკოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი** და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ა. მ. ბერიძე.** (საქდესი).

გაიხსნა პირდაპირი სამგზავრო მიმოსვლა მოსკოვი - პეკინი

31 იანვარს გაიხსნა პირდაპირი სამგზავრო მიმოსვლა საბჭოთა კავშირის დედაქალაქსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დედაქალაქს შორის. 17 საათსა და 50 წუთზე მოსკოვის იაროსლავლის ვაგზლიდან გავიდა პირველი სწრაფი მატარებელი № 2 მოსკოვი-პეკინი.

იმავე დღეს 18 საათსა და 05 წუთზე პეკინიდან მოსკოვს პირველ რეისში გამოემგზავრა ავგრეთვე სწრაფი მატარებელი № 1.

მოსკოვი-პეკინის მატარებლის გამგზავრების დღეს იაროსლავლის ვაგზალი მორთული იყო საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ალმებით. მატარებლის გამგზავრების დროს იაროსლავლის ვაგზალში იყვნენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოს წარმომადგენლები, სსრ კავშირის გზათა სამინისტროს, საგარეო საქმეთა სამინისტროს, საგარეო ვაჭრობის სამინისტროს ხელმძღვანელი მუშაკები, საბჭოთა კავშირის უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საზოგადოებისა და პრესის წარმომადგენლები.

პეკინი, 31 იანვარი. (საკდესი). დღეს 18 საათსა და 05 წუთზე ადგილობრივი დროით პეკინიდან მოსკოვს გაემგზავრა პირველი რეისი სწრაფი სამგზავრო მატარებელი № 1 პეკინი-მოსკოვი. პეკინის ვაგზალში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დედაქალაქსა და საბჭოთა კავშირის დედაქალაქს შორის პირდაპირი სამგზავრო მოძრაობის გახსნის გამო გამართულ საზეიმო ცერემონიას დაესწრნენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის რკინიგზების მინისტრი ტენ დაი-იუანი, სსრ კავშირის ელჩი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში პ. ფ. იუდინი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე უ სიუ-ციუანი, ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების მუშა კომიტეტის გენერალური მდივანი ციან ძიუნ-ჟუი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის რკინიგზების სამინისტროს პასუხისმგებელი მუშაკები, პეკინის კვანძის წარჩინებული რკინიგზელები და პეკინის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნების შესრულების შემდეგ რკინიგზების მინისტრმა ტენ დაი-იუანმა გადაჭრა წითელი ლენტი. პეკინის რკინიგზის სამმართველოს მოწინავეებმა მატარებლის საბჭოთა ბრიგადის წევრებს, რომელსაც მეთაურობს მატარებლის უფროსი ტექნიკოსი-ლეიტენანტი ბალაკირევი, გადასცეს ცოცხალი ყვავილების თაიგულები.

საზეიმო მარშის ხმებში პირველი პირდაპირი სწრაფი მატარებელი ახალი ჩინეთის დედაქალაქიდან მოსკოვს გაემგზავრა.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიაზე მატარებელი მიჰყავს წარჩინებულ მემანქანეს, შრომის გმირს იან ძე-ბენს.

დაიხურა უნგრული ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების გამოფენა

29 იანვარს მოსკოვში დაიხურა უნგრული ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების გამოფენა.

გამოფენაზე წარმოდგენილი იყო წარსულისა და ჩვენი დროის ოსტატთა ნაწარმოებნი. გამოფენილი იყო დახელოვნებულ მეთუნეთა, მქედელთა, ოქრომჭედელთა, მინის მბერავთა, მხატვარ-გრავიორთა ნამუშევარი, მწყემსთა ნაკეთობანი ხის, ტყავისა და რქისგან, სხვადასხვა ნაირფერადი ნაქარგი, ფილიგრანი, მაიოლიკა, ფერადი ქსოვილები, სადღესასწაულო ეროვნული კოსტუმების ნიმუშები.

ერთ თვეში გამოფენა დაათვალიერა თითქმის 90 ათასმა კაცმა.

საბჭოთა ადამიანებმა შთაბეჭდილებათა წიგნში აღტაცება გამოთქვეს უნგრელი ოსტატების თვითმყოფი და მკაფიო შემოქმედების გამო, უსურვეს შემდგომი წარმატებანი თანამედროვე ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების განვითარებაში. (საკდესი).

საქართველოს ქვანახშირის კომბინატმა გადაჭარბებით შეასრულა იანვრის გეგმა

რესპუბლიკის მეშახტეებმა წარმატებით შეასრულეს იანვრის საწარმოო დავალება — ქვანახშირის ამოღების გეგმა 101 პროცენტით გაანაღდეს. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ქვანახშირის ამოღება გადიდებულია 13,3 პროცენტით.

ყველაზე მოწინავეა ტყიბულქვანახშირის ტრესტი, რომელმაც დავალება 106 პროცენტით შეასრულა და 1953 წლის იანვართან შედარებით მოპოვება 17,2 პროცენტით გაზარდა. ტყიბულქვანახშირის ტრესტის ყველა შახტმა გაანაღდა გეგმა. განსაკუთრებით კარგად იმუშავეს სტალინისა და მოლოტოვის სახელობის შახტების კოლექტივებმა. პირველმა დავალება შეასრულა 109 პროცენტით, ხოლო მეორემ—121 პროცენტით.

თვალსაჩინო მიღწევები მოიპოვეს აგრეთვე ტყვარჩელქვანახშირის მესამე და მეოთხე შახტების კოლექტივებმა.

წარმატებით არის განაღდებული იანვარში მომხმარებლებისათვის ქვანახშირის გაგზავნის დავალებაც.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1953 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობა

მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და ტრანსპორტის განვითარება, კაპიტალური მშენებლობის ზრდა, სამინაო და საგარეო ვაჭრობის გაფართოება, მუშა-მოსამსახურეთა რაოდენობის გადიდება და ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლება 1953 წელს ხასიათდება შემდეგი მონაცემებით:

I. წარმოების გეგმის შესრულება მრეწველობაში

საერთო პროდუქციის წარმოების წლიური გეგმა მთლიანად შრეწველობაში შესრულებულია 101 პროცენტით. ცალკეულმა სამინისტროებმა მრეწველობის საერთო პროდუქციის წარმოების წლიური გეგმა შეასრულეს შემდეგნაირად:

	1953 წლის გეგმის შესრულების პროცენტი
მეტალურგიული მრეწველობის სამინისტრო	99
ქვანახშირის მრეწველობის სამინისტრო	99,4
ნავთობის მრეწველობის სამინისტრო	100,9
ქიმიური მრეწველობის სამინისტრო	102
ელექტროსადგურებისა და ელექტრომრეწველობის სამინისტრო	102
მანქანათმშენებლობის სამინისტრო	102
სატრანსპორტო და მძიმე მანქანათმშენებლობის სამინისტრო	98
სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო	99
სსრ კავშირის სატყეო და ქაღალდის მრეწველობის სამინისტრო	93
სსრ კავშირის ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის სამინისტრო	104
სსრ კავშირის სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტრო	100,5
გზათა სამინისტროს სამრეწველო საწარმოები	104
სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს სამრეწველო საწარმოები	104
სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სამრეწველო საწარმოები	102
მოკავშირე რესპუბლიკების ადგილობრივი და სათბობის მრეწველობის სამინისტროები და ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროები	104
სარეწაო კოოპერაცია	103

სსრ კავშირის მთელი მრეწველობის საერთო პროდუქცია 1953 წელს გადიდდა 1952 წელთან შედარებით 12 პროცენტით და 1950 წელთან შედარებით 45 პროცენტით. ეს იმას ნიშნავს, რომ მეხუთე ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული სამრეწველო პროდუქციის ზრდის დავალება წარმატებით სრულდება.

გასულ წელს მთავრობამ მიიღო მთელი რიგი გადაწყვეტილებანი, რომელთა მიზანია სახალხო მოხმარების საგნების წარმოების მკვეთრი აღმავლობის განხორციელება, რათა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდეს ხალხის მატერიალური კეთილდღეობა.

ამის შედეგად მრეწველობის დარგები, რომლებიც მოხმარების საგნებს აწარმოებენ, 1953 წელს და განსაკუთრებით წლის მეორე ხახევარში, უფრო ძლიერი ტემპით ვითარდებოდა, ვიდრე 1952 წელს და ვიდრე ეს თავდაპირველად დასახული იყო 1953 წლის გეგმით. თუ ამ დარგების პროდუქცია 1952 წელს გადიდდა 10,5 პროცენტით, 1953 წელს იგი გადიდდა 12 პროცენტით, მათ შორის 1953 წლის მეორე ნახევარში 14 პროცენტით 1952 წლის მეორე ნახევართან შედარებით.

1953 წელს ბევრი სახეობის სამრეწველო პროდუქციის გეგმა შესრულებულია გადაჭარბებით.

გადაჭარბებით შესრულდა ნავთობის ამოღების, ბუნებრივი გაზის მოპოვების, ფიქლის, რკინისა და მარგანეცის მადნის ამოღების, ბენზინის, ნავთის, ალუმინის, ელექტროენერგიის, ელექტროლამპების, ლითონსაჭრელი ჩარხების, დიდი სიმძლავრის ორთქლის ქვაბების, დიზელების, ბრძმედებისა და ფოლადსადნობი მოწყობილობის, სატვირთო და მსუბუქი ავტომობილებისა და ავტობუსების, ტროლეიბუსების, ტრამვაის ვაგონების, ტრაქტორის გუთნებისა და სათბი მანქანების, მარცვალსაწმენდი მანქანების, კარტოფილის ასაღები კომბაინების, ექსკავატორების, ტრაქტორის სკრეპერებისა და ბულდოზერების, ბურთულა და გორგოლაჭიანი საკისრების, მინერალური სასუქების, სინთეზური ამონიაკის, სინთეზური ფენოლის, სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა მავნებლებთან საბრძოლველი შხამქიმიკატების, საღებრებისა და სხვა ქიმიკატების, სინთეზური კაუჩუკის, ავტოსაბურავების, ტრანსპორტიორის ლენტის, რბილი სახურავის, ფანჯრის მინის, ქაღალდის, სპირტისა და სხვა სახეობათა პროდუქციის წარმოება.

წლიური გეგმის გადამეტებით გამოშვებულია აბრეშუმის, შალისა და სელის ქსოვილები, ბამბის ძაფი და ძაფის ნაწარმი, სათეთრეული ტრიკოტაჟი, წინდები, პიანინოები და როიალები, ძეხვეული, შესქელებული რძე, მცენარეული ზეთი, მარგარინი, მაკარონის ნაწარმი, საკონდიტრო ნაწარმი, ჩაი, ყურძნის ღვინო, ლუდი, შამპანური, თამბაქო, პაპიროსი, ასანთი, საპონი და ფართო მოხმარების სხვა სასურსათო და სამრეწველო საქონელი.

მაგრამ ზოგიერთ სამინისტროს არ მიუღია საჭირო ღონისძიებანი და არ შეუსრულებია მრეწველობის ცალკეულ სახეობათა პროდუქციის წარმოების გეგმა. მაგალითად, მეტალურგიული მრეწველობის სამინისტრომ ვერ შეასრულა მთელ რიგ სახეობათა პროდუქციის წარმოების და განსაკუთრებით შავი ლითონების ზოგიერთ დეფიციტურ სახეობათა ნაგლინის გეგმა, ელექტროსადგურებისა და ელექტრომრეწველობის სამინისტრომ ვერ შეასრულა ცალკეულ სახეობათა გენერატორებისა და ელექტრომოტორების წარმოების გეგმა, მანქანათმშენებლობის სამინისტრომ — მთელი რიგი სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და საფეიქრო მოწყობილობის გეგმა, სატრანსპორტო და მძიმე მანქანათმშენებლობის სამინისტრომ — ორთქლმავლებისა და ცალკეულ სახეობათა ენერგეტიკული და საგლინავი მოწყობილობის გეგმა, სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრომ — აგურის, შიფერისა და ზოგიერთი სანიტარულ-ტექნიკური ნაწარმის გეგმა. სსრ კავშირის სატყეო და ქაღალდის მრეწველობის სამინისტრომ ვერ შეასრულა სამასალე მერქნის გამოზიდვის გეგმა. სსრ კავშირის სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტრომ ვერ უზრუნველყო თევზის ჭერის გეგმის შესრულება.

სსრ კავშირის ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის სამინისტროს, სსრ კავშირის სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტროს და განსაკუთრებით სარეწაო კოოპერაციის და ადგილობრივი მრეწველობის ბევრმა საწარმომ რამდენადმე გააუმჯობესა მსუბუქი და კვების მრეწველობის ნაწარმის ხარისხი, მაგრამ პროდუქციის ნაწილის ხარისხი მაინც არ არის დამაკმაყოფილებელი, გამოშვებულია ისეთი ასორტიმენტით, რომელიც არ შეესაბამება მოსახლეობის მოთხოვნილებას. მათ საკმაო ღონისძიებანი არ მიუღიათ საქონლის გამოყვანისა და გარეგნული გაფორმების გასაუმჯობესებლად. კერძოდ, ჯერ კიდევ უშვებენ არაკეთილხარისხოვან ფეხსაცმელს, ავეჯს, ფაფურ-ქაშანურის ჭურჭელს, ცუდად გამოყვანილ და ულაზათო ქსოვილებს, აგრეთვე შეკერილ და ტრიკოტაჟის ნაწარმს, რომელსაც სერიოზული დეფექტები აქვს.

მრეწველობის მთელ რიგ დარგებში წარმოების ზრდას ის აფერხებს, რომ არის ბევრი საწარმო, რომლებიც რიტმულად ვერ მუშაობენ და გეგმას ვერ ასრულებენ.

ბევრი საწარმო, განსაკუთრებით მანქანათმშენებელი ქარხნები, თვიდან თვემდე უთანაბროდ უშვებდა პროდუქციას — თვის პირველ დეკადაში ისინი მუშაობდნენ მნიშვნელოვნად უფრო დაბალ დონეზე, ვიდრე თვის მომდევნო დეკადებში. მზა პროდუქციის ასეთი არარიტმული გამოშვება ქმნის საწარმოს მუშაობის არასწორ რეჟიმს, იწვევს მოწყობილობის მოცდენას, მუშახელის გაცდენას, მთლიანად ვერ იყენებენ საწარმოო სიმძლავრეებს, დიდდება წუნი, ხდება თანხების უნაყოფო გადახარჯვა ზედმეტი საათების მუშაობისათვის, და თავის მხრივ ამას მოსდევს უთანაბრო მიწოდება და ტრანსპორტის გადატვირთვა.

ქვანახშირის, მეტალურგიულ, ქიმიურ, ხე-ტყის დამამზადებელ მრეწველობასა და საშენ მასალათა მრეწველობაში, აგრეთვე სახალხო მეურნეობის მთელ რიგ სხვა დარგებში ჯერ კიდევ არის ბევრი ჩამორჩენილი საწარმო, რომლებიც ვერ ასრულებენ სახელმწიფო გეგმის დავალებებს, აქვეითებენ სამრეწველო წარმოების დონეს და ამ დარგების მუშაობის ხარისხობრივ მაჩვენებლებს.

II. სამრეწველო პროდუქციის წარმოების ზრდა

უმნიშვნელოვანეს სახეობათა სამრეწველო პროდუქციის წარმოება 1953 წელს 1952 წელთან შედარებით გადიდდა შემდეგნაირად:

	1953 წელი პროცენტობით 1952 წელთან შედარებით		1953 წელი პროცენტობით 1952 წელთან შედარებით
თუხი	109	ტყვია	122
ფოლადი	110	ქვანახშირი	106
ნაგლინი	110	ნავთობი	112
ფოლადის მილები	116	ბენზინი	111
თუთია	113	ნავთი	123
ელექტროენერგია	113	ზედა ტრიკოტაჟი	103
ორთქლის ტურბინები	140	ველოსიპედები	115
დიდი ჰიდროტურბინები	135	რადიომიმღებები	127
ტურბინგენერატორები	147	ტელევიზორები	225
ჰიდროგენერატორები	115	სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა მავნებლების წინააღმდეგ საბრძოლველი შხამქიმიკატები	143
დიდი ელექტრომანქანები	134	სინთეზური კაუჩუკი	113
ელექტრომოტორები	113	ავტოსაბურავები	107
სამაგისტრალო ორთქლმავლები	263	ქაღალდი	110
სამაგისტრალო ელმავლები	134	ცემენტი	115
სამაგისტრალო სატვირთო ვაგონები	103	ფანჯრის მინა	122
ტროლეიბუსები	121	შიფერი	122
სატვირთო ავტომობილები	111	რბილი სახურავი	114
მსუბუქი ავტომობილები	130	აგური	112
ავტობუსები	127	სტანდარტული სახლები	109
მოტოციკლები	137	სპირტი	118
ბურთულა და გორგოლაჭიანი საკისარები	115	ბამბის ქსოვილები	105
მეტალურგიული მოწყობილობა	118	სელის ქსოვილები	112
ექსკავატორები	112	პატეფონები	126
ნავთობის აპარატურა	117	საკერავი მანქანები	124
ლითონსაჭრელი ჩარხები	114	საათები	122
ქიმიური მოწყობილობა	124	ფოტოაპარატები	109
საქსოვი დაზგები	102	პიანინოები და როიალები	123
საანგარიშო მანქანები	124	საოჯახო მაცივრები	159
ტრაქტორები	113	მტვერსასრუტავები	200
მარცვლეულის კომბაინები	102	ლითონის საწოლები	145
ტრაქტორის გუთნები	101	ავეჯი	114
თვითმავალი სათიბი მანქანები	146	ხორცი	112
სელის კომბაინები	107	ძეხვეული	116
ჭარხლის კომბაინები	150	თევზი	103
მარცვალსაწმენდი მანქანები	102	ერბო-კარაქი	103
კაუსტიკური სოდა	115	რძის პროდუქტები	109
კალცინირებული სოდა	119	მცენარეული ზეთი	116
მინერალური სასუქები	109	მარგარინი	124
შალის ქსოვილები	109	ყველი	116
აბრეშუმის ქსოვილები	178	შაქარი	112
ტყავის ფეხსაცმელი — სსრ კავშირის ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის სამინისტრო	104	საკონდიტრო ნაწარმი	109
წინდები	104	მაკარონის ნაწარმი	120
სათეთრეულე ტრიკოტაჟი	116	კონსერვები	114
		ჩაი	106
		საპონი	111
		პაპიროსი	116
		ყურძნის ღვინო	124
		ლუდი	113

სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება მნიშვნელოვნად გადიდდა მძიმე მრეწველობისა და მანქანათმშენებლობის დარგებში, განსაკუთრებით 1953 წლის მეორე ნახევარში. 1953 წლის მეორე ნახევარში საათების წარმოება 1952 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გადიდდა 29 პროცენტით, ველოსიპედების წარმოება—22 პროცენტით, რადიომიმღებებისა—62 პროცენტით, საოჯახო მაცივრებისა—86 პროცენტით, ლითონის საწოლებისა—65 პროცენტით. ამასთანავე სსრ კავშირის მანქანათმშენებლობის სამინისტროს, სატრანსპორტო და მძიმე მანქანათმშენებლობის სამინისტროს, ქიმიური მრეწველობის სამინისტროს, ელექტროსადგურებისა და ელექტრომრეწველობის სამინისტროს, სატყეო და ქაღალდის მრეწველობის სამინისტროს მთელმა რიგმა საწარმოებმა ვერ შეასრულეს ცალკეული საქონლის გამოშვების დავალებანი.

1953 წელს მნიშვნელოვნად გაფართოვდა ისეთი ასორტიმენტის საქონლის გამოშვება, რომელზეც მოსახლეობაში დიდი მოთხოვნილებაა. მაგალითად, 1952 წელთან შედარებით, როცა ბამბეულის წარმოება 5 პროცენტით გადიდდა, ბამბის ჭრელნაჭსოვი ქსოვილების გამოშვება 78 პროცენტით გადიდდა, ხოლო ხელოვნური აბრეშუმნარევი ქსოვილებისა—65 პროცენტით; შალის ქსოვილების წარმოება გადიდდა 9 პროცენტით, ამასთან კამოლის წმინდა შალის ქსოვილების გამოშვება გადიდდა 76 პროცენტით; აბრეშუმის ქსოვილების წარმოება გადიდდა 78 პროცენტით, ამასთან შტაპელის ნართის ქსოვილების გამოშვება — 2,8-ჯერ; ზედა ტრიკოტაჟის წარმოება გადიდდა 3 პროცენტით, ამასთან წმინდა შალისა და შალნარევი ზედა ტრიკოტაჟის გამოშვება—12 პროცენტით; ფეხსაცმლის წარმოება გადიდდა 4 პროცენტით, ამასთან მოდელის ფეხსაცმლის გამოშვება—44 პროცენტით; კონსერვის წარმოება გადიდდა 14 პროცენტით, ამასთან ხორცის კონსერვისა — 29 პროცენტით და შესქელებული რძისა—21 პროცენტით; საკონდიტრო ნაწარმის წარმოება გადიდდა 9 პროცენტით, ამასთან ტორტის, შაქარლამისა და კეკსის გამოშვება—28 პროცენტით, შოკოლადით გლაზირებული რბილი კანფეტისა—44 პროცენტით. მნიშვნელოვნად გადიდდა დაფასოვებული კვების პროდუქტების გამოშვება.

გასულ წელს გრძელდებოდა მრეწველობის მოწყობილობის გამოყენების შემდგომი გაუმჯობესება. შავ მეტალურგიაში ბრძმედების მარგი მოცულობის გამოყენება გასულ წელს 1952 წელთან შედარებით გაუმჯობესდა 2 პროცენტით, ხოლო მარტენის ღუმელის ქვედის ერთ კვადრატულ მეტრ ფართობზე ფოლადის გამოდნობა გადიდდა 5 პროცენტით. ნავთობის მრეწველობის სამინისტროს საწარმოებში საექსპლოატაციო ბურღვის სიჩქარე 1952 წელთან შედარებით გადიდდა 5 პროცენტით და საძიებო ბურღვისა—10 პროცენტით. გადიდდა გადამუშავებული ნედლეულიდან გამჭვირვალე ნავთობპროდუქტების გამოსავლიანობის პროცენტი. ელექტროსადგურებისა და ელექტრომრეწველობის სამინისტროს ელექტროსადგურებში ელექტროენერგიის წარმოებაზე საწვავის ხვედრითი ხარჯი შემცირდა 1,9 პროცენტით. შარშანდელზე უკეთ იყო გამოყენებული სიმძლავრეები მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი ქიმიური პროდუქტების წარმოების დარგში. სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს საწარმოებში მბრუნავი ღუმელების საათობრივი წარმადობა გადიდდა 10 პროცენტით, ცემენტის წისქვილებისა — 3 პროცენტით. გადიდდა მინის მასის წარმოება ღუმელის საერთო ფართობის ერთ კვადრატულ მეტრზე და გაუმჯობესდა მინის მასის გამოყენების კოეფიციენტი.

ამასთან მრეწველობაში ჯერ კიდევ არის გამოუყენებელ სიმძლავრეთა მნიშვნელოვანი რეზერვები. მეტალურგიული მრეწველობის სამინისტრომ ვერ შეასრულა ბრძმედებისა და მარტენის ღუმელების გამოყენების დაწესებული ნორმები; ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს შახტებში არადამაკმაყოფილებლად იყენებენ ქვანახშირის კომბაინების, ქვანახშირმტვირთავი და ქანმტვირთავი მანქანების პარკს; ნავთობის მრეწველობის სამინისტრომ ვერ შეასრულა საძიებო ბურღვის წლიური დავალება სიჩქარის მხრივ; მანქანათმშენებლობის სამინისტროს საწარმოებში საკმაოდ სრულად ვერ იყენებენ ჩარხებისა და სამჭედლო-საწნეხი მოწყობილობის პარკს; დამაკმაყოფილებლად ვერ იყენებენ არსებულ მანქანებსა და მექანიზმებს სსრ კავშირის სატყეო და ქაღალდის მრეწველობის სამინისტროს ხე-ტყის დამზადებაზე.

1953 წელს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობამ მომარაგების სახელმწიფო გეგმის თანახმად მნიშვნელოვნად უფრო მეტი ნედლეული, მასალები, სათბობი, ელექტროენერგია და მოწყობილობა მიიღო, ვიდრე 1952 წელს. გასულ წელს განსაკუთრებით გადიდდა მასალებისა და მოწყობილობის მიწოდება სოფლის მეურნეობისათვის და სამრეწველო და სასურსათო საქონლის წარმოებისათვის.

1953 წელს სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულების შემცირებამ 5 პროცენტზე მეტი შეადგინა, მაგრამ მრეწველობაში თვითღირებულების შემცირების დავალება არ შესრულებულა. განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებლად ასრულებდნენ თვითღირებულების შემცირების გეგმას სსრ კავშირის სატყეო და ქაღალდის მრეწველობის სამინისტრო, სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო, მეტალურგიული მრეწველობის სამინისტრო, ქვანახშირის მრეწველობის სამინისტრო და სატრანსპორტო და მძიმე მანქანათმშენებლობის სამინისტრო.

თვითღირებულების შემცირების დავალების არადამაკმაყოფილებელი შესრულება იმის შედეგია, რომ ბევრ საწარმოში არ შესრულებულა შრომის ნაყოფიერების გადიდების გეგმა, ვერ უზრუნველყოფდნენ ნედლეულის, მასალებისა და სათბობის ხარჯვის დაწესებული ნორმების შესრულებას, რის შედეგადაც იყო მატერიალური და ფულადი სახსრების გადახარჯვის შემთხვევები, აგრეთვე დანაკარგი წუნის გამო, ზედმეტი ადმინისტრაციულ-სამეურნეო და ზედნადები ხარჯები.

III. ახალი ტექნიკის დანერგვა სახალხო მეურნეობაში

1953 წელს სახალხო მეურნეობის ყველა დარგში ხორციელდებოდა მუშაობა ახალი ტექნიკის განვითარებისა და დანერგვისათვის.

1953 წელს საბჭოთა მანქანათმშენებლობამ შექმნა დაახლოებით 700 ახალი უმნიშვნელოვანესი ტიპისა და მარკის მანქანები და მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ სახალხო მეურნეობის შემდგომ ტექნიკურ პროგრესს, მათ შორის შექმნილია 100-ზე მეტი ახალი ტიპის მაღალი წარმადობის მოწყობილობა მსუბუქი და კვების მრეწველობისათვის.

შექმნილია ახალი ტიპის ენერგეტიკული, ელექტროტექნიკური, ნავთობის, ქიმიური და მეტალურგიული მოწყობილობა, მოწყობილობა ქვანახშირის შახტების, სამთამადნო საწარმოებისა და მშენებლობის შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციისათვის.

შექმნილია ახალი ტიპის მანქანები, აგრეგატები და დანადგარები საფეიქრო, ბეწვეულისა და სამკერვალო მრეწველობისათვის, მათ შორის მაღალი წარმადობის საძახავი მანქანები, გადიდებული წარმადობის საჩეჩი მანქანა, ნართის სახამებელი დიდი სიჩქარის მანქანა, მატყლის საღებავი საჩალიჩე მანქანა, ხაოიანი ქსოვილების გამოსაყვანი მანქანები და სხვ. გრძელდებოდა ახალი მანქსწრების, აგრეგატებისა და ავტომატების დანერგვა, რომლებიც ხელს უწყობენ შრომის ნაყოფიერების გადიდებას, ამსუბუქებენ შრომის პირობებს და უზრუნველყოფენ პროდუქციის მაღალ ხარისხს.

სასურსათო საქონლის წარმოებისათვის შექმნილია კვების პროდუქციას ჩამოსასხმელი, ჩასაფუთავი და გამოსაყვანი ახალი, უფრო სრულყოფილი და ნაყოფიერი ავტომატური ხაზები, სოსისის წარმოების, ნედლი თევზის გასაცივებელ და ჩასაწყობ ახალ სახეობათა მოწყობილობა, სხვადასხვა სახეობის კვების პროდუქტების დასაფასოვებელ-საფუთავი ავტომატები და ბოსტნეულსახმობ საწარმოთა ახალი სახეობის მოწყობილობა. სასურსათო საქონლის მრეწველობის საწარმოები აღიჭურვებოდა ავტომატური ხაზებით საკონდიტრო ნაწარმისა და ლუდის წარმოებისათვის, აგრეთვე ხელის საპნის წარმოებისათვის. ინერგებოდა მარგარინის, ჩაის დასაფასოვებელი და საფუთავი და თევზის გამოსაყვანი სხვადასხვა სახის დიდი წარმადობის ავტომატები.

სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა შემდგომი მექანიზაციის უზრუნველყოფისა და კომპლექსური მექანიზაციის განხორციელების მიზნით 1953 წელს გამოშვებულია 80-ზე მეტი ნიმუშის სხვადასხვა ტიპის სასოფლო-სამეურნეო მანქანები და იარაღები, მათ შორის: კარტოფილსაღები კომბაინი მაგარ ნიადაგში სამუშაოდ, კომბოსტოსასაღები მანქანა, ტრაქტორ დტ-54-ს პირფართო სათიბი მანქანა და სილოსის ასაღები კომბაინი, კირისა და მინერალური სასუქის მისაყრელი მანქანა, ელექტრონული საზვინავი მანქანა და სხვ. პირველად მოეწყო სერიული წარმოება ოთხმწკრივი კარტოფილსათესი მანქანის, რომელიც კარტოფილს თესავს კვადრატულ-ბუდობრივი მეთოდით და ამავე დროს ნიადაგში შეაქვს სასუქი, მოეწყო ტრაქტორისა და ამწის საზვინავი მანქანების, სიმინდის ასაღები კომბაინებისა და რბილ ნიადაგში კარტოფილის ასაღები კომბაინების სერიული წარმოება.

მაგრამ სამინისტროებმა ვერ შეასრულეს ახალი ტიპის მანქანებისა და მექანიზმების ათვისებისა და გამოშვების დაწესებული გეგმა.

მნიშვნელოვანი მუშაობაა შესრულებული წარმოების ავტომატიზაციისა და მექანიზაციის და ახალი ტექნოლოგიური პროცესების დანერგვის დარგში.

მეტალურგიული მრეწველობის სამინისტროს საწარმოებში გრძელდებოდა მუშაობა ბრძმედებისა და მარტენის ღუმელების სითბოს რეჟიმის ავტომატიზაციისათვის. შემდგომ განვითარდა მოწინავე ტექნოლოგიური პროცესები, რომლებიც ზრდიან მეტალურგიული აგრეგატების წარმადობას. მნიშვნელოვანი რაოდენობით ათვისებულია ახალი მარკების ფოლადის, შავი და ფერადი ლითონის ნაწნობთა, აგრეთვე ახალი პროფილების ნაგლინის წარმოება. 1952 წელთან შედარებით გადიდდა შავი და ფერადი ლითონების, მაღნეულის მოპოვების შრომატევადი და მძიმე პროცესების მექანიზებულ სამუშაოთა მოცულობა.

ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს შახტებში ხორციელდებოდა მუშაობა ქვანახშირის ამოღების ყველაზე შრომატევადი პროცესების შემდგომი მექანიზაციისათვის. 1953 წელს 1952 წელთან შედარებით მექანიზებულ სამუშაოთა მოცულობა გადიდდა— ლავებში ქვანახშირის დატვირთვაზე 18 პროცენტით, ძირითადი მოსამზადებელი გვირაბების გაყვანის დროს ქვანახშირისა და ქანების დატვირთვაზე — 17 პროცენტით. გრძელდებოდა მოსამზადებელი გვირაბებისა და ასაწმენდი სანგრევების ახალ სახეობათა გამაგრების დანერგვა. ლითონის ბიგებითა და რკინა-ბეტონის ბიგებით გამაგრებული მოსამზადებელი გვირაბების მოცულობა 1952 წელთან შედარებით გადიდდა 36 პროცენტით.

ნავთობის მრეწველობაში გაფართოვდა ტურბინით ბურღვა. ბურღვის ჩქარი რეჟიმის ჩარხების რაოდენობა, რომლებიც უზრუნველყოფენ ჭაბურღილების ბურღვის გადიდებულ სიჩქარეს, 1953 წლის დამლევისათვის ერთნახევარჯერ გადიდდა 1952 წელთან შედარებით. გაფართოვდა ფენების დაწოლის შეკავების მეთოდების გამოყენება და ნავთობის ფენებში წყლის, გაზისა და ჰაერის ჭირხნის საშუალებით ნავთობის მოპოვების მეორადი მეთოდების გამოყენება, რამაც საშუალება მოგვცა გაგვედიდებინა ნავთობის მოპოვება და ნავთობიანი ფენების გამოყენება.

1953 წელს ქიმიურ მრეწველობაში მოხდა სინთეზური საღებრების ასორტიმენტის შემდგომი გაუმჯობესება ახალი მარკების უფრო მკვიდრი და კაშკაშა საღებრების წარმოების ათვისებით.

თბოელექტროსადგურებში გადიდდა დიდი წნევისა და დიდი ტემპერატურის ორთქლის გამოყენება. მთელ რიგ დიდ ელექტროსადგურებში განხორციელებულია საქვაბე საამქროების კომპლექსური ავტომატიზაცია, რომელიც მოიცავს ყველა ძირითადი პროცესის ავტომატიზაციას, სადისტანციო მართვას, კონტროლსა და სიგნალიზაციას. გრძელდებოდა მუშაობა ელექტროსადგურების თბომექანიკურ მართვაზე გადაყვანისათვის.

მანქანათმშენებლობაში შემდგომ დაინერგა მოწინავე ტექნოლოგიური პროცესები სამსხმელო, სამჭედლო, თერმულ, მექანიკურ და აწყობ საამქროებში. გრძელდებოდა მანქანათმშენებელი ქარხნების აღჭურვა დიდი წარმადობის აგრეგატებითა და სპეციალური ჩარხებით, ავტომატური და ნახევრადავტომატური მრწყობილობით, ნაკადური და ავტომატური ხაზებით დეტალების მექანიკური დამუშავებასა და ნაკეთობის აწყობაში.

გრძელდებოდა მუშაობა ცემენტის, მინისა და კერამიკის მრეწველობის ავტომატიზაციისა და სადისტანციო მართვისათვის. ცემენტის მრეწველობის საწარმოებში დაიდგა ახალი მძლავრი ღუმელები. ათვისებულია გაპრიალებული მინის მექანიზებული წარმოება უაღრესად ავტომატიზებული პროცესის კონვეიერზე, მოსაპირკეთებელი კერამიკის მექანიზებული წარმოება; მიმდინარეობდა დიდი გაბარიტის რკინა-ბეტონის დეტალების მასობრივი მექანიზებული წარმოების ათვისება საბინაო და სამრეწველო მშენებლობისათვის.

ამასთან 1953 წელს მთელმა რიგმა სამინისტროებმა ვერ შეასრულეს ახალი ტექნოლოგიური პროცესების, წარმოების ავტომატიზაციისა და მექანიზაციის დანერგვის გეგმის დავალებანი. განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებლად სრულდებოდა დავალება ქვანახშირის, სატყეო, ტორფის და სამთამადნო მრეწველობაში შრომატევად და მძიმე სამუშაოთა მექანიზაციის დაჩქარება.

შრომის ელექტროაღჭურვილობა მრეწველობაში ერთ მუშაზე გაანგარიშებით 1953 წელს გადიდდა 7 პროცენტით 1952 წელთან შედარებით.

სახალხო მეურნეობის ყველა დარგში გადიდდა მშრომელთა გამომგონებლობა და რაციონალიზატორული საქმიანობა. გამოგონებათა, ტექნიკურ გაუმჯობესებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა რაოდენობა, რომელიც დაინერგა 1953 წელს მრეწველობაში, მშენებლობასა და ტრანსპორტზე, აღემატება 850 ათასს.

IV. სოფლის მეურნეობა

1953 წლის მოსავლისათვის ნათესი ფართობები 1952 წელთან შედარებით გადიდდა 1 მილიონ 400 ათასი ჰექტარით. ყველაზე ძვირფასი მარცვლეულის კულტურის — ხორბლის ნათესები გადიდდა 2 მილიონი ჰექტარით. გაფართოვდა შაქრის ჭარხლის, ზეთოვანი კულტურების, კარტოფილის, ბოსტნეულისა და ბაღჩეული კულტურების ნათესები, გადიდდა მრავალწლიანი ბალახების სათიბი ფართობი, გაფართოვდა ერთწლიანი ბალახების, საკვები ძირხვენებისა და სასილოსე კულტურების ნათესები, მაგრამ არ შესრულებულა საბოჭკოე სელის, კანაფის, კარტოფილისა და ბოსტნეულის თესვის საგეგმო დავალება.

თუმცა ჩვენი ქვეყნის მთელ რიგ რაიონებში არახელსაყრელი მეტეოროლოგიური პირობები იყო, მაგრამ მარცვლეული კულტურების ფაქტიური მოსავალი 1953 წელს 1952 წლის ფაქტიურ მოსავალს უახლოვდება. 1952 წელთან შედარებით ბამბის, შაქრის ჭარხლის, მზესუმზირას, ბოსტნეულისა და ბაღჩეული კულტურების ფაქტიური მოსავალი გადიდდა. კარტოფილის მოსავალი აღებულია დაახლოებით იმდენივე, რამდენიც 1952 წელს.

„სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილების შესაბამისად უკვე 1953 წელს სოფლის მეურნეობას მნიშვნელოვანი დახმარება გაეწია.

(გაგრძელება მე-3 გვერდზე).

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1953 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობა

(გაგრძელება)

1953 წელს გაიზარდა და განმტკიცდა სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. გასულ წელს სოფლის მეურნეობამ მიიღო საერთო დანიშნულების 159 ათასი ტრაქტორი (15-ძალიანზე გადაყვანით) და 18 ათასი სათოხნი ტრაქტორი, 41 ათასი მარცვლეულის კომბაინი, აქედან 22 ათასი თვითმავალი კომბაინი, 69 ათასი სატვირთო ავტომობილი და 2 მილიონზე მეტი ნიადაგის დასამუშავებელი იარაღი, სათესი, მოსავლის ასაღები და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანები, აგრეთვე მანქანები და მოწყობილობა მეცხოველეობის ფერმებისათვის. 1953 წელს კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მიიღეს 6 მილიონ ტონაზე მეტი მინერალური სასუქი, ანუ 15 პროცენტით მეტი, ვიდრე წინა წელს.

საშემოდგომო კულტურების თესვასთან და 1954 წლის მოსავლისათვის საგაზაფხულო კულტურების თესვისათვის ნიადაგის მომზადებასთან დაკავშირებული საშემოდგომო სამუშაოები კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გასულ წელთან შედარებით განხორციელდა უფრო შემჭიდროებულ და უკეთეს აგროტექნიკურ ვადებში. 1953 წლის შემოდგომაზე კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მზრალად მოხნულია 13 მილიონი ჰექტარით და შემოდგომის ანეული 3,5 მილიონი ჰექტარით მეტი, ვიდრე 1952 წლის შემოდგომაზე. მაგრამ მზრალად ხვნისა და საშემოდგომო ანეულის ხვნის გეგმიანი დავალება არ შესრულებულა.

სოფლის მეურნეობის ტექნიკური შეიარაღების ზრდამ შესაძლებელი გახადა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მექანიზაციის დონის ამაღლება კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. მანქანა-ტრაქტორთა სადგურებმა 1953 წელს შეასრულეს კოლმეურნეობებში 17 პროცენტით მეტი სასოფლო-სამეურნეო სამუშაო, ვიდრე 1952 წელს. გასულ წელს მანქანა-ტრაქტორთა სადგურებმა თავიანთი სატრაქტორო და სამანქანო პარკებით შეასრულეს კოლმეურნეობებში ყველა ძირითადი სამუშაოს 80 პროცენტზე მეტი. ანეულისა და მზრალად ხვნა კოლმეურნეობებში თითქმის მთლიანად მექანიზებულია, საშემოდგომო კულტურების თესვა მექანიზებულია 93 პროცენტით, საგაზაფხულო კულტურების თესვა — 83 პროცენტით. კომბაინებით აღებულია ყველა მარცვლეული კულტურის 77 პროცენტი; შაქრის ჭარხლის ნათესების დაახლოებით 80 პროცენტი აღებულია ჭარხლის კომბაინებითა და ტრაქტორის ჭარხალსათხრელი მანქანებით. ჩამორჩება საბოჭკოე, სელის თესვისა და მოსავლის აღების, კარტოფილისა და ბოსტნეულის თესვისა და მოსავლის აღების, ბამბის კრეფის სამუშაოთა, აგრეთვე ბალახების აღებისა და საკვების დასილოსების სამუშაოთა მექანიზაცია.

1953 წელს მანქანა-ტრაქტორთა სადგურებმა შეასრულეს წყლით მომარაგების მექანიზაციისათვის საჭირო მოწყობილობის დადგმის სამუშაოები მეცხოველეობის 8 ათას საკოლმეურნეო ფერმაში, საკვების დასაორთქლებელი მოწყობილობის დადგმისა — 15 ათას ფერმაში, ბუნებრივი საკვების გადამუშავებისა — 6 ათას ფერმაში, მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ავტომატური რწყულებისა — 4 ათას ფერმაში და ძროხის მექანიკური წველისა — 1 ათას ფერმაში.

მაგრამ მანქანა-ტრაქტორთა სადგურებმა 1953 წელს მთლიანად მაინც ვერ შეასრულეს კარტოფილის აღების, სელის გლეჯის, ნაწვერალის აოშვის, მოთიბული თივის აღების, საკვების დასილოსების სამუშაოთა გეგმა და შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის გეგმა მეცხოველეობის საკოლმეურნეო ფერმებში.

კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გადიდდა ელექტროენერგიის გამოყენება შრომატევადი საწარმოო პროცესების მექანიზაციისათვის მიწათმოქმედებაში და მეცხოველეობის ფერმებში, მაგრამ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ელექტროფიკაციის დავალება მთლიანად არ შესრულებულა.

კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი პირუტყვის სულადობა 1953 წლის 1 ოქტომბრისათვის 1952 წლის 1 ოქტომბერთან შედარებით გადიდდა: ძროხისა — 8 პროცენტით, ცხვრისა — 9 პროცენტით და ღორისა — 10 პროცენტით. პირუტყვის სულადობა სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს საბჭოთა მეურნეობებში 1952 წლის 1 ოქტომბრიდან 1953 წლის 1 ოქტომბრამდე გადიდდა: ძროხისა — 9 პროცენტით, ცხვრისა — 11 პროცენტით და ღორისა — 8 პროცენტით.

პირუტყვის საერთო სულადობა ყველა კატეგორიის მეურნეობებში — კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, კოლმეურნეთა და მუშა-მოსამსახურეთა მეურნეობებში 1953 წლის 1 ოქტომბრისათვის პირუტყვის აღწერის ცნობებით, შეადგენდა: მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა — 63 მილიონ სულს, მათ შორის ძროხისა — 26 მილიონს, ღორისა — 47,6 მილიონს, ცხვრისა და თხისა — 135,8 მილიონს და ცხენისა — 16,2 მილიონ სულს.

იმასთან დაკავშირებით, რომ 1953 წელს მიღწეულია პროდუქტიული პირუტყვის სულადობის უფრო მაღალი დონე, მთავრობამ გაადიდა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის, ღორის, ცხვრისა და თხის სულადობის გეგმა, რომელიც წინათ იყო მიღებული 1954 წლისათვის.

კოლმეურნეობებისადმი აგრონომიული და ზოოტექნიკური დახმარების გასაძლიერებლად 1953 წლის დამლევს მტს-ებში კოლმეურნეობათა მომსახურებისათვის გაიგზავნა 100 ათასზე მეტი აგრონომი და ზოოტექნიკოსი სასოფლო-სამეურნეო ორგანოების რეორგანიზაციის შედეგად განთავისუფლებულ და კოლმეურნეობებში სამუშაოდ გადასულ სპეციალისტთაგან, რომლებიც სხვა დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში მუშაობდნენ. გარდა ამისა, მრეწველობიდან და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებიდან მტს-ებში გაგზავნა ბევრი ინჟინერი და ტექნიკოსი დირექტორებად, მთავარ ინჟინრებად და სარემონტო სახელოსნოების გამგეებად, აგრეთვე სხვა თანამდებობებზე სამუშაოდ.

V. რკინიგზის, წყლისა და საავტომობილო ტრანსპორტის ტვირთბრუნვის ზრდა

რკინიგზის ტრანსპორტის 1953 წლის ტვირთბრუნვის წლიური გეგმა შესრულებულია გადამეტებით. 1952 წელთან შედარებით ტვირთბრუნვა გაიზარდა 7 პროცენტით.

საშუალო სადღეღამისო დატვირთვის საერთო გეგმა რკინიგზის ტრანსპორტმა შეასრულა 101 პროცენტით. მთლიანად და გადამეტებით შესრულებულია ნავთობისა და ნავთობპროდუქტების, შავი ლითონის, მინერალურ-სამშენი მასალების, მადნის, ფლუსების, კოქსის, ქიმიური და მინერალური სასუქების, მარცვლისა და ფქვილის, მარილისა და შაქრის დატვირთვის გეგმა. არ შესრულებულა ხე-ტყის, შეშის, ცემენტის, ცეცხლგამძლე მასალების, შავი ლითონის ჯართის, ტორფის, ბამბის დატვირთვის გეგმა, აგრეთვე არ შესრულებულა ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს შახტებიდან ქვანახშირის გამოზიდვის გეგმა.

რკინიგზებზე ყველა ტვირთის საშუალო-სადღეღამისო დატვირთვა 1953 წელს 1952 წელთან შედარებით გაიზარდა 7 პროცენტით, ამასთან ქვანახშირის დატვირთვა გადიდდა 5 პროცენტით, ნავთობისა და ნავთობპროდუქტებისა — 13 პროცენტით, შავი ლითონებისა — 9 პროცენტით, ხე-ტყისა — 2 პროცენტით, ცემენტისა — 13 პროცენტით, ცეცხლგამძლე მასალებისა — 6 პროცენტით, მადნისა — 9 პროცენტით, ფლუსებისა — 8 პროცენტით, კოქსისა — 9 პროცენტით, ქიმიური და მინერალური სასუქებისა — 7 პროცენტით.

ფქვილის, შაქრის, ხორცის, მცენარეული ზეთის, თამბაქო-წეკოს ნედლეულისა და თამბაქოს ნაწარმის, მაკარონის, ჩაის, ხილისა და ბოსტნეულის დატვირთვა გადიდდა 15-26 პროცენტით.

სატვირთო ვაგონის ბრუნვის საშუალო დრო 1953 წელს 1952 წელთან შედარებით შემცირდა 3 პროცენტით, მაგრამ ვაგონის ბრუნვის დაჩქარების დავალება რამდენადმე შეუსრულებელია. სატვირთო მატარებლების მოძრაობის კომერციული სიჩქარე 1953 წელს 1952 წელთან შედარებით გადიდდა, მაგრამ 1953 წლის საგეგმო დავალება არ შესრულებულა. ვაგონების მოცდენა სატვირთო ოპერაციებზე და ტექნიკურ სადგურებში 1953 წელს 1952 წელთან შედარებით შემცირდა, მაგრამ სატვირთო ოპერაციებზე ვაგონების მოცდენის შემცირების 1953 წლის დავალება ტვირთგამგზავნებს არ შეუსრულებიათ.

სატვირთო ორთქლმავლის საშუალო-სადღეღამისო გარბენი 1953 წელს 1952 წელთან შედარებით გადიდდა, მაგრამ 1953 წლის საგეგმო დავალება არ შესრულებულა. რკინიგზებზე სათბობის ხარჯი ტონა-კილომეტრზე 1952 წელთან შედარებით შემცირდა 3 პროცენტით.

ტვირთბრუნვის წლიური გეგმა საზღვაო და სამდინარო ფლოტის საძინისტრომ შეასრულა მთლიანად 100,2 პროცენტით.

საზღვაო ტრანსპორტმა ტვირთბრუნვის გეგმა შეასრულა 102 პროცენტით და ტვირთზიდვისა — 103 პროცენტით. საზღვაო ტრანსპორტის ტვირთბრუნვა 1953 წელს 1952 წელთან შედარებით გადიდდა 9 პროცენტით და ტვირთზიდვისა — 10 პროცენტით. სამდინარო ტრანსპორტმა ტვირთბრუნვის გეგმა შეასრულა 99 პროცენტით და ტვირთზიდვისა — 100,6 პროცენტით. გადამეტებით შესრულებულია ნავთობისა და ნავთობპროდუქტების, ხე-ტყის, მადნის, მინერალურ-სამშენი მასალების, ბამბის, თევზისა და თევზპროდუქტების გადაზიდვის გეგმა. არ შესრულებულა ქვანახშირის, პურეულის, მარილისა და კარტოფილის გადაზიდვის გეგმა. ტვირთბრუნვა და ტვირთზიდვა სამდინარო ტრანსპორტზე 1952 წელთან შედარებით გადიდდა.

საავტომობილო ტრანსპორტის ტვირთბრუნვა 1953 წელს 1952 წელთან შედარებით 13 პროცენტითა და უფრო მეტით გადიდდა.

VI. კაპიტალური მშენებლობის ზრდა

სახალხო მეურნეობაში სახელმწიფო კაპიტალდაბანდებათა მოცულობამ 1953 წელს შეადგინა 104 პროცენტი 1952 წელთან შედარებით.

1952 წელთან შედარებით გადიდდა კაპიტალდაბანდებანი შავ და ფერად მეტალურგიაში, ელექტროსადგურებში, მანქანათმშენებლობაში, სამბობ, ქიმიურ მრეწველობაში, სატყეო და ქაღალდის მრეწველობაში, საშენ მასალათა წარმოებაში და მძიმე მრეწველობის სხვა დარგებში.

წლის განმავლობაში მსუბუქი და კვების მრეწველობის საწარმოთა მშენებლობაში სახელმწიფო კაპიტალდაბანდებათა მოცულობამ 8 პროცენტით გადააჭარბა წინა წლის კაპიტალდაბანდებათა მოცულობას, აქედან წლის მეორე ნახევარში 1952 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გადიდდა 10 პროცენტით. 1953 წელს ამუშავდა სახალხო მოხმარების საქონლის მწარმოებელი დაახლოებით 300 ახალი სახელმწიფო სამრეწველო საწარმო. 1953 წელს საბჭოთა საწარმოთა მშენებლობაში კაპიტალდაბანდებანი გადიდდა 35 პროცენტით, აქედან წლის მეორე ნახევარში 48 პროცენტით.

კაპიტალდაბანდებათა მოცულობა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობაში 1953 წელს 22 პროცენტით გადიდდა. გასულ წელს მნიშვნელოვანი სამუშაოები შესრულდა სკოლების, საავადმყოფოებისა და პოლიკლინიკების, დასასვენებელი სახლების, სანატორიუმების, საბავშვო ბაღებისა და ბაგების, პიონერთა ბანაკების, სანახაობით და სხვა კულტურულ-საყოფაცხოვრებო საწარმოთა და დაწესებულებათა მშენებლობაში.

მაგრამ სახალხო მეურნეობაში კაპიტალდაბანდებათა და საწარმოო სიმძლავრეთა ამუშავების 1953 წლის გეგმა მთლიანად არ შესრულებულა. განსაკუთრებით ბევრი დააკლეს გეგმის შესრულებას მშენებლობის სამინისტრომ, მეტალურგიული მრეწველობის სამინისტრომ, ქვანახშირის მრეწველობის სამინისტრომ, ნავთობის მრეწველობის სამინისტრომ, ელექტროსადგურებისა და ელექტრომრეწველობის სამინისტრომ, სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრომ, სსრ კავშირის ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის სამინისტრომ, სსრ კავშირის სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტრომ.

1953 წელს სამშენებლო ორგანიზაციებმა მიიღეს ბევრი დიდი წარმადობის მანქანა და მექანიზმი. ექსკავატორების არსებული პარკი 1952 წელთან შედარებით გადიდდა 23 პროცენტით, ბულდოზერებისა — 18 პროცენტით, კომბაინებისა — 40 პროცენტით და უფრო მეტად; ბევრად გადიდდა სხვა სამშენებლო მანქანებისა და მექანიზმების პარკიც. მაგრამ ბევრ შენებლობაზე მთლიანად არ იყენებენ მანქანებსა და მექანიზმებს, არასაკმაოდ ხორციელდება შრომატევადი და მძიმე სამუშაოების მექანიზაცია, არ სრულდება სამშენებლო სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაციის დანერგვის დაწესებული გეგმები.

ბევრმა სამშენებლო ორგანიზაციამ ვერ უზრუნველყო სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა და მუშათა შრომის სწორი ორგანიზაცია, რის შედეგადაც 1953 წელს დაუმთავრებელი დარჩა მთელი რიგი შენობები და ნაგებობანი, რომელთა მშენებლობა გასულ წელს უნდა დამთავრებულიყო. ბევრ მშენებლობაზე ურიგდებოდნენ მუშახელის მნიშვნელოვან მოცდენას, დენადობას, უზრუნველყოფილი არ იყო შრომის ნაყოფიერების დავალებათა შესრულება, ხდებოდა სახსრების გადახარჯვა და არათუ ვერ მიაღწიეს მშენებლობის ღირებულების შემცირებას, არამედ მთელ რიგ შემთხვევებში დაუშვეს სამშენებლო სამუშაოთა გაძვირება.

VII. საშინაო და საგარეო ვაჭრობის ზრდა

1953 წელს გრძელდებოდა საბჭოთა ვაჭრობის შემდგომი გაშლა. 1953 წლისათვის დაწესებული საცალო საქონელბრუნვის გეგმა გადაჭარბებით არის შესრულებული.

სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებაში მოპოვებულ სერიოზულ წარმატებათა საფუძველზე მთავრობამ 1953 წლის პირველი აპრილიდან განახორციელა სასურსათო და სამრეწველო საქონლის სახელმწიფო საცალო ფასების ახალი — საბარათო სისტემის გაუქმების შემდეგ სათვალავით მეექვსე — შემცირება. ფასების ახალმა შემცირებამ ხელი შეუწყო საბჭოთა მანეთის შემდგომ განმტკიცებას და ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის ცხოვრების დონის სერიოზულ ამაღლებას.

1953 წელს მთავრობამ მიიღო მოსახლეობისათვის მისაყიდი საქონლის რესურსების გადიდების ღონისძიებანი, რის შედეგადაც სავაჭრო ორგანიზაციებმა აპრილ-დეკემბერში დამატებით მიიღეს 33 მილიარდი მანეთის სახალხო მოხმარების საქონელი გარდა იმ 312 მილიარდ მანეთის საქონლისა, რაც გამოყოფილი იყო 1953 წლის აპრილ-დეკემბერში მოსახლეობისათვის მისაყიდად. ამასთან სსრ კავშირის ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის სამინისტრომ, სსრ კავშირის სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტრომ, სსრ კავშირის სატყეო და ქაღალდის მრეწველობის სამინისტრომ, მანქანათმშენებლობის სამინისტრომ და ელექტროსადგურებისა და ელექტრომრეწველობის სამინისტრომ და მთელმა რიგმა სხვა სამინისტროებმა მთლიანად ვერ შეასრულეს მოსახლეობისათვის მისაყიდი საქონლის დამატებით მიწოდების დავალება.

1953 წელს 1952 წელთან შედარებით მნიშვნელოვნად გადიდდა მოსახლეობისათვის საქონლის მიყიდვა. ეს მიღწეულია სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების ზრდის, აგრეთვე სხვა სახელმწიფო რესურსების მობილიზაციის შედეგად, ამასთან გადიდდა მოსახლეობისათვის საუკეთესო სორტებისა და უფრო მაღალი ხარისხის საქონლის მიყიდვა.

1953 წელს **სახელმწიფო** და **კოოპერაციული** ვაჭრობის ბაზით მოსახლეობას მიეყიდა საქონელი (შესადარ ფასებში) 21 პროცენტით მეტი, ვიდრე 1952 წელს, აქედან წლის მეორე ნახევარში 26 პროცენტით მეტი, ვიდრე 1952 წლის შესაბამის პერიოდში. ამასთან სამომხმარებლო კოოპერაციამ, რომელიც ახორციელებს სოფლად ვაჭრობას, 1953 წელს 1952 წელთან შედარებით საქონლის გაყიდვა გადიდა 24 პროცენტით, აქედან წლის მეორე ნახევარში 30 პროცენტით 1952 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით.

1953 წელს 1952 წელთან შედარებით ცალკეული სასურსათო საქონლის გაყიდვა გადიდდა შემდეგი ოდენობით: ხორცის და ხორცპროდუქტებისა — 36 პროცენტით, თევზის და თევზპროდუქტებისა — 8 პროცენტით, ერბო-კარაქისა — 36 პროცენტით, მცენარეული ზეთის და სხვა საკვები ცხიმებისა — 19 პროცენტით, ყველისა — 28 პროცენტით, კვერცხისა — 16 პროცენტით, შაქრისა — 23 პროცენტით, საკონდიტრო ნაწარმისა — 12 პროცენტით, ჩაისა — 16 პროცენტით, ხილის და ბაღჩეული კულტურებისა — 43 პროცენტით, ბოსტნეულისა — 25 პროცენტით.

1953 წელს 1952 წელთან შედარებით ყველაზე მნიშვნელოვანი ოდენობით გადიდდა შემდეგი სამრეწველო საქონლის გაყიდვა: ბამბის ქსოვილებისა — 22 პროცენტით, შალის ქსოვილებისა — 18 პროცენტით, აბრეშუმის ქსოვილებისა — 45 პროცენტით, ტანსაცმლისა — 29 პროცენტით, ტრიკოტაჟის ნაწარმისა — 23 პროცენტით, ქალის და მამაკაცის წინდისა — 31 პროცენტით, ტყავის ფეხსაცმლისა — 29 პროცენტით, საათებისა — 38 პროცენტით, საკერავი მანქანებისა — 34 პროცენტით, ავეჯისა — 39 პროცენტით, მტვერსასრუტავებისა — 2,3-ჯერ, პატეფონებისა — 30 პროცენტით, რადიომიმღებებისა — 32 პროცენტით, მათ შორის ტელევიზორებისა — 64 პროცენტით, ველოსიპედებისა — 16 პროცენტით, მოტოციკლებისა — 55 პროცენტით, მსუბუქი ავტომობილებისა — 2,6-ჯერ. 1953 წელს 1952 წელთან შედარებით მნიშვნელოვნად გადიდდა სწარმოო-სამეურნეო დანიშნულების საქონლის: სატვირთო ავტომობილების, დახერხილი ხე-ტყის მასალის, სამასალე მერქნის, ცემენტის, ფანჯრის მინის, შიფერის, რბილი სახურავის, ლურსმნის, სახურავი რკინის საცალო გაყიდვა.

1953 წელს გრძელდებოდა სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის სავაჭრო ქსელის გაფართოება. წლის განმავლობაში გაიხსნა დაახლოებით 6 ათასი მაღაზია. მნიშვნელოვნად გადიდდა სპეციალიზებული მაღაზიების ქსელი ქალაქებში, მუშათა დაბებსა და სოფელ ადგილებში.

მაგრამ მოსახლეობის მოთხოვნა ზოგიერთ საქონელზე საკმაოდ არა კმაყოფილდება. სავაჭრო ორგანიზაციები ცუდად სწავლობენ მოსახლეობის მოთხოვნილებას და უშვებენ შეცდომებს საქონლის განაწილებასა და შემოზიდვაში. სერიოზული ნაკლოვანებანია საცალო სავაჭრო ქსელის განლაგებაში, სავაჭრო ორგანიზაციები სუსტად ებრძვიან მოსახლეობისათვის მისაყიდად მრეწველობის მიერ მიწოდებული საქონლის ხარისხისათვის.

1953 წელს სავაჭრო ორგანიზაციების მომოქცევის ხარჯები კვლავ დიდი იყო, თუმცა 1952 წელთან შედარებით შემცირდა. მომოქცევის ხარჯების შემცირების გეგმა შესრულებული არ არის.

1953 წელს კვლავ იზრდებოდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გაყიდვა **საკოლმეურნეო ბაზრებზე**. განსაკუთრებით მნიშვნელოვნად გადიდდა ხორბლის ფქვილის, ღორის ხორცის, კვერცხის, ფრინველის, ბოსტნეულისა და ხილის გაყიდვა. საკოლმეურნეო ბაზრებზე სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ფასები შემცირდა.

საბჭოთა კავშირი 1953 წელს, ისევე როგორც წინა წლებში, **საგარეო ვაჭრობის** დარგში განაგრძობდა უცხოეთის ქვეყნებთან ეკონომიური ურთიერთობის გაფართოებას. 1953 წლის განმავლობაში საბჭოთა კავშირი ვაჭრობდა 51 უცხო სახელმწიფოსთან, ამასთან 25 ქვეყანასთან ვაჭრობა წარმოებდა ყოველწლიურ და მრავალი წლის სავაჭრო შეთანხმებათა საფუძველზე. ოკანასკნელი წლების მანძილზე პირველად დაიდო საქონელბრუნვის შეთანხმებანი ინდოეთთან, საფრანგეთთან, არგენტინასთან, საბერძნეთსა და ისლანდიასთან.

საბჭოთა კავშირის საგარეო ვაჭრობის ბრუნვა გადიდდა 23 მილიარდ მანეთამდე, ნაცვლად 1952 წლის 20,8 მილიარდი მანეთისა, ესე იგი 11 პროცენტით. ამასთან 1953 წლის საგარეო ვაჭრობის ბრუნვა (შესადარ ფასებში) თითქმის 4-ჯერ აღემატება ომამდელ დონეს.

დემოკრატიული ბანაკის ქვეყნებთან საბჭოთა კავშირის საქონელბრუნვის შემდგომ გადიდებასთან ერთად მნიშვნელოვნად გადიდდა ვაჭრობის ბრუნვა დასავლეთ ევროპის, ახლო და შუა აღმოსავლეთის მთელ რიგ ქვეყნებთან. ამასთან მოხდა საექსპორტო და საიმპორტო საქონლის ნუსხის შემდგომი გაფართოება.

VIII. მუშებისა და მოსამსახურეების რაოდენობის ზრდა და შრომის ნაყოფიერების გაძიდება

მუშებისა და მოსამსახურეების რაოდენობა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობაში მნიშვნელოვნად გადიდდა და 1953 წლის დამლევისათვის შეადგენდა 44 მილიონ 800 ათას კაცს.

იმასთან დაკავშირებით, რომ ტრაქტორისტები, სატრაქტორო ბრიგადების ბრიგადირები და მათი თანაშემწეები, ექსკავატორების მემანქანეები და მათი თანაშემწეები და საწვავის ჩამსხმელი-აღმრიცხველები გადავიდნენ მტს-ების მუდმივ მუშებად, აგრეთვე სპეციალისტთა რაოდენობის გადიდებასთან დაკავშირებით — 1953 წლის დამლევისათვის მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუდმივი მუშაკების რიცხვი გადიდდა 1 მილიონ 400 ათასით 1952 წლის დამლევისათვის არსებულ რაოდენობასთან შედარებით.

1953 წელს, ისევე როგორც წინა წლებში, ჩვენს ქვეყანაში უმუშევრობა არ ყოფილა.

გასულ წელს სახელოსნო, რკინიგზის, სამთო-სამრეწველო სასწავლებლები, საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლები და სამთო-სამრეწველო სკოლები დაამთავრა და მრეწველობაში, მშენებლობასა და ტრანსპორტზე სამუშაოდ გაგზავნა 320 ათასი ახალგაზრდა კვალიფიციური მუშა.

1953 წელს ინდივიდუალურ-ბრიგადული მოწყობისა და ჟურნალებზე სწავლების გზით კვალიფიკაცია აიმაღლა და ისწავლა შვიდნახევარმა მილიონმა მუშამ და მოსამსახურემ.

შრომის ტექნიკური აღჭურვილობის ზრდისა და მუშათა კვალიფიკაციის ამაღლების ბაზაზე 1953 წელს 1952 წელთან შედარებით მრეწველობაში შრომის ნაყოფიერება გადიდდა 6 პროცენტით და მშენებლობაზე — 4 პროცენტით. მაგრამ მრეწველობაში და მშენებლობაზე შრომის ნაყოფიერების გადიდების გეგმა არ შესრულებულა. არადამაკმაყოფილებლად ასრულებდნენ შრომის ნაყოფიერების გადიდების დავალებას სატრანსპორტო და მძიმე მანქანათმშენებლობის სამინისტრო, სსრ კავშირის სატყეო და ქაღალდის მრეწველობის სამინისტრო, ქვანახშირის მრეწველობის სამინისტრო, მეტალურგიული მრეწველობის სამინისტრო, მანქანათმშენებლობის სამინისტრო, სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო, სსრ კავშირის სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტრო, მშენებლობის სამინისტრო.

IX. ნაციონალური შემოსავლის ზრდა და ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლება

გასულ წელს შემდგომ გაუმჯობესდა მუშების, გლეხებისა და ინტელიგენციის მატერიალური მდგომარეობა და ამაღლდა კულტურული დონე.

1953 წელს 1952 წელთან შედარებით სსრ კავშირის ნაციონალური შემოსავალი 8 პროცენტით გადიდდა. ამასთან ნაციონალური შემოსავლის წილი, რომელიც მშრომელთა პირად განკარგულებაში გადავიდა, გადიდდა, ხოლო ნაციონალური შემოსავლის წილი, რომელიც სახელმწიფოს განკარგულებაში დარჩა, რამდენადმე შემცირდა.

მეტი ოდენობით და უფრო მეტ საქონელზე, ვიდრე 1952 წელს, განხორციელდა სახალხო მოხმარების საქონლის სახელმწიფო საცალო ფასების შემცირება. ფასების ამ შემცირებით მოსახლეობის პირდაპირმა მოგებამ მარტო სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის ბაზით ერთ წელიწადზე გაანგარიშებით შეადგინა 50 მილიარდ მანეთზე მეტი, ნაცვლად 24 მილიარდი მანეთი ეკონომიისა ერთ წელიწადზე გაანგარიშებით, რაც მოსახლეობამ მიიღო 1952 წლის ფასების შემცირების შემდეგ.

ნაციონალური შემოსავლის ზრდამ და მთავრობის მიერ მიღებულმა ღონისძიებებმა უზრუნველყო მუშა-მოსამსახურეთა შემოსავლისა და გლეხთა შემოსავლის შემდგომი გადიდება.

მუშა-მოსამსახურეთა ხელფასის ფონდი 1953 წელს 1952 წელთან შედარებით გაიზარდა 5 პროცენტით, ხოლო საშუალო თვიური ფულადი ხელფასი — 2 პროცენტით.

მუშა-მოსამსახურეთა რეალური ხელფასი მნიშვნელოვანწილად გაიზარდა სახალხო მოხმარების საქონლის ფასების შემცირებით. ფულადი ხელფასის საშუალოდ 2 პროცენტით ზრდასთან ერთად მუშა-მოსამსახურეთა რეალური ხელფასი, ფასების შემცირებით, გაიზარდა კიდევ 10 პროცენტით.

გარდა ამისა, მუშა-მოსამსახურეებმა 1953 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან და საწარმოთა სახსრებიდან მიიღეს მნიშვნელოვანი დახმარება და სხვა შეღავათები, რომელთა მოცულობა ერთ მუშასა და მოსამსახურეზე გაანგარიშებით წინა წელთან შედარებით ფასების შემცირების გათვალისწინებით, გადიდდა 11 პროცენტით. მუშა-მოსამსახურეებმა, ისევე როგორც წინა წლებში, მიიღეს დახმარება და პენსიები სოციალური დაზღვევისა და სოციალური უზრუნველყოფის ხაზით, დახმარება მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისადმი, მოსწავლეთა სტიპენდიები, უფასო სამედიცინო დახმარება, უფასო და შეღავათიანი საზღურები სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში, უფასო სწავლა და კვალიფიკაციის ამაღლება და მთელი რიგი სხვა დახმარება და შეღავათები. სსრ კავშირის ყველა მუშა-მოსამსახურემ მიიღო სულ ცოტა ორი კვირის შვებულება, ხოლო მთელი რიგი პროფესიების მუშაკებმა — უფრო ხანგრძლივი შვებულება ხელფასის შენახვით.

იმასთან დაკავშირებით, რომ მთავრობამ გადაწყვიტა სესხის გამოშვების თანხის შემცირება, მნიშვნელოვნად შემცირდა 1953 წელს მუშათა, მოსამსახურეთა და გლეხთა შესატანები სესხზე ხელმოწერით.

მთლიანად ფულადი ხელფასის ზრდით, სახალხო მოხმარების საქონლის ფასების შემცირებით, სახელმწიფოს ხარჯზე დახმარებისა და შეღავათების ზრდით მუშა-მოსამსახურეთა რეალური შემოსავალი, ერთ მომუშავეზე გაანგარიშებით, წლის განმავლობაში გადიდდა 13 და მეტი პროცენტით.

კაპიტალური დაბანდებანი სახელმწიფო საბინაო მშენებლობაში 1953 წელს გადიდდა 11 პროცენტით. სახელმწიფო საწარმოებმა, დაწესებულებებმა, ადგილობრივმა საბჭოებმა, აგრეთვე ქალაქებისა და მუშათა დაბების მოსახლეობამ სახელმწიფო კრედიტის დახმარებით 1953 წელს ააგეს 28 მილიონ კვადრატულ მეტრზე მეტი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები.

1953 წელს და განსაკუთრებით წლის მეორე ნახევარში მნიშვნელოვნად გადიდდა გლეხთა შემოსავალი.

სახელმწიფო საცალო ფასების შემცირებასთან ერთად სახელმწიფო ბიუჯეტითა და მიმოქცევის ხარჯების შემცირებით მნიშვნელოვნად გადიდდა დასამზადებელი ფასები ხორცის, რძის, მატყლის, კარტოფილისა და ბოსტნეულისა, რომლებსაც კოლმეურნეობები და კოლმეურნეები აბარებენ სახელმწიფოს სავალდებულო ჩაბარების წესით, შემოღებულია სისტემა ხორცის, რძის, ბოსტნეულისა და კარტოფილის სახელმწიფო შესყიდვისა დასამზადებელ ფასებზე მნიშვნელოვნად უფრო მაღალ ფასებში.

შემცირებულია კოლმეურნეთა პირადი დამხმარე მეურნეობიდან სავალდებულო ჩაბარების ნორმები, შემცირებულია თვითეული საკოლმეურნეო კომლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადი, მთლიანად მოხსნილია გასული წლების სასოფლო-სამეურნეო გადასახადების ნარჩენი. გარდა ამისა, კოლმეურნეთა მეურნეობებს ჩამოეწერა სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტებისა და კარტოფილის სავალდებულო ჩაბარების გასული წლების მთელი დავალიანება, ხოლო კოლმეურნეობებს ჩამოეწერათ კარტოფილისა და ბოსტნეულის სავალდებულო ჩაბარების გასული წლების დავალიანება. სავალდებულო ჩაბარების ოდენობის შემცირებასთან დაკავშირებით კოლმეურნეობებსა და კოლმეურნეებს შესაძლებლობა ჰქონდათ სასაქონლო პროდუქციის მნიშვნელოვანი ნაწილი მიეყიდათ სახელმწიფოსათვის გადიდებულ სახელმწიფო შესასყიდ ფასებში. კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა მიიღეს მთელი რიგი სხვა მატერიალური შეღავათები დამზადებათა გეგმების შესრულების დროს.

კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა ეკონომიური წახალისების აღნიშნულ ღონისძიებათა, აგრეთვე საგადასახადო პოლიტიკის დარგში ღონისძიებათა განხორციელებით კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა შემოსავალი 1953 წელს გადიდდა 13 მილიარდი მანეთითა და მეტით.

(დასასრული მე-4 გვერდზე)

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1953 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ

(დასასრული)

გარდა ამისა, გლეხებმა მნიშვნელოვანი მოგება მიიღეს 1953 წელს სახელმწიფო საცალო ფასების შემცირების განხორციელებით. ეს ფასები საშუალოდ 11 პროცენტით შემცირდა იმ საქონელზე, რომელსაც გლეხები ყიდულობენ.

ისევე როგორც მუშა-მოსამსახურენი, გლეხები იღებდნენ უფასო სამედიცინო დახმარებას, უფასო სწავლებას, მოსწავლეთა სტიპენდიებს, დახმარებას მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისადმი და სხვა დახმარებასა და შეღავათებს. სახელმწიფოს ხარჯზე გლეხობისათვის აღნიშნული დახმარებისა და შეღავათების მოცულობა, ფასების შემცირების გათვალისწინებით, 1953 წელს წინა წელთან შედარებით 14 პროცენტით გადიდდა.

გლეხთა შემოსავლის ზრდას მოწმობს ისიც, რომ 1953 წელს სოფელ ადგილებში აშენდა 400 ათასზე მეტი ახალი საცხოვრებელი სახლი.

მთლიანად სსრ კავშირის მოსახლეობამ 1953 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან, სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა სახელმწიფო ხარჯების გადიდებასთან, საცალო ფასების შემცირებისათვის ბიუჯეტის დანახარჯებთან და სხვა იმ დანახარჯებთან დაკავშირებით, რომელთა მიზანია მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების უზრუნველყოფა, მიიღო 195 მილიარდი მანეთი ნაცვლად 1952 წლის 147 მილიარდი მანეთისა. ამავე დროს პირადი შემოსავლიდან გადასახადთა და გამოსაღებთა სახით, აგრეთვე სესხზე ხელმოწერით მშრომელებმა ბიუჯეტში შეიტანეს 65 მილიარდი მანეთი ანუ 21 მილიარდი მანეთით ნაკლები, ვიდრე წინა წელს. ამრიგად, 1953 წელს მუშებმა, კოლმეურნეებმა და მოსამსახურეებმა ბიუჯეტიდან მიიღეს 130 მილიარდი მანეთით მეტი, ვიდრე მათ შეიტანეს ბიუჯეტში საკუთარი შემოსავლიდან, ნაცვლად 1952 წლის 61 მილიარდი მანეთისა.

ფულადი შემოსავლის ზრდის მეოხებით მნიშვნელოვნად გადიდდა მოსახლეობის ანაბრები შემნახველ სალაროებში. ამ ანაბართა მატებამ 1953 წლის განმავლობაში გადააჭარბა 12 მილიარდ მანეთს, ნაცვლად ანაბრების 4,5 მილიარდი მანეთით მატებისა 1952 წელს.

მუშათა და მოსამსახურეთა რეალური ხელფასის ზრდისა და გლეხთა შემოსავლის გადიდების საფუძველზე მუშების, მოსამსახურეებისა და გლეხების შემოსავლის საერთო თანხა 1953 წელს 1952 წელთან შედარებით გადიდდა (შესადარ ფასებში) 13 პროცენტით.

1953 წელს გრძელდებოდა კულტურული მშენებლობის შემდგომი ზრდა და მაღლდებოდა საბჭოთა ხალხის კულტურული დონე.

საშუალო განათლების განვითარებასთან დაკავშირებით საშუალო სკოლების 8-10 კლასების მოსწავლეთა რიცხვი 1952 წელთან შედარებით გადიდდა 1 მილიონ 307 ათასით. მათ შორის სოფელ ადგილებში — 518 ათასით.

დასახული ამოცანის შესაბამისად, რომელიც ითვალისწინებს რესპუბლიკების დედაქალაქებში, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებში, სოლქო, სამხარეო და უდიდეს სამრეწველო ცენტრებში შვიდწლიანი განათლებიდან საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლას, ამ ქალაქების მოსწავლეთა რიცხვი 8-10 კლასებში 1953 წელს გადიდდა 34 პროცენტით.

საშუალო სკოლების მე-10 კლასების გამოშვება 1952 წელთან შედარებით 40 პროცენტით გადიდდა.

უმაღლეს სასწავლებლებში (დაუსწრებელთა ჩათვლით) სწავლობდა 1 მილიონი 562 ათასი სტუდენტი, ანუ 120 ათასით მეტი, ვიდრე 1952 წელს. ტექნიკუმებსა და სხვა საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში (დაუსწრებელთა ჩათვლით) სწავლობდა 1 მილიონი 644 ათასი კაცი, ანუ 166 ათასით მეტი, ვიდრე 1952 წელს. გასულ წელს უმაღლესსა და საშუალო სპეციალურმა სასწავლებლებმა გამოუშვეს 500 ათასზე მეტი ახალგაზრდა სპეციალისტი. გადიდდა ასპირანტთა რიცხვი, რომლებსაც უმაღლესი სასწავლებლები და სამეცნიერო დაწესებულებები ამზადებენ.

სახალხო მეურნეობაში დასაქმებულ სპეციალისტთა საერთო რიცხვი, რომლებსაც დამთავრებული უმაღლესი განათლება ან საშუალო ტექნიკური განათლება აქვთ, 1953 წელს 8 პროცენტით მეტი იყო, ვიდრე 1952 წელს.

ფართოვდებოდა მშრომელთა სწავლება წარმოებისაგან მოუწყვეტლივ. საღამოს და დაუსწრებელ უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში და მუშა და სოფლის ახალგაზრდობის ზოგადი განათლების სკოლებში მოსწავლეთა რიცხვი 1952 წელთან შედარებით 17 პროცენტით გადიდდა.

1953 წელს ჩვენს ქვეყანაში იყო ყველა სახეობის 380 ათასზე მეტი ბიბლიოთეკა 1 მილიარდ ცალზე მეტი წიგნის ფონდით, მათ შორის 285 ათასი ბიბლიოთეკა იყო სოფელ ადგილებში.

კინოდანადგართა რაოდენობამ 51 ათასს გადააჭარბა და 1952 წელთან შედარებით ორი ათასით გადიდდა. მაგრამ, კინოდანადგართა რაოდენობის საერთო ზრდის მიუხედავად, კინოქსელის მუშაობაში, განსაკუთრებით სოფლად, სერიოზული ნაკლოვანებები. ბევრი კინოდანადგარი მუშაობდა არარეგულარულად, ხოლო ზოგიერთი მათგანი დიდხანს უმოქმედოდ იყო.

1953 წლის ზაფხულის განმავლობაში 5 მილიონ 500 ათასზე მეტმა ბავშვმა და მოზარდმა დაისვენა საგარეუბნო და საქალაქო პიონერბანაკებში, ბავშვთა სანატორიუმებში, საექსკურსიო-ტურისტულ ბაზებში ან ორგანიზებულად გაიგზავნა ზაფხულის პერიოდში საგარაკოდ საბავშვო ბაღებთან, საბავშვო სახლებთან და საბავშვო ბაგებთან ერთად.

1953 წელს გრძელდებოდა საავადმყოფოების, სამშობიარო სახლების, დისპანსერებისა და სხვა სამკურნალო დაწესებულებების, აგრეთვე სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების ქსელის შემდგომი გაფართოება. ექიმთა რიცხვი 1952 წელთან შედარებით 11 ათასზე მეტით გადიდდა. საწოლების რიცხვი საავადმყოფოებსა და სამშობიარო სახლებში 1952 წელთან შედარებით 60 ათასზე მეტით გადიდდა. აღგილების რაოდენობა სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში ოთხმოცი 12 ათასით გადიდდა. გაფართოვდა საბავშვო ბაგებისა და საბავშვო ბაღების ქსელი. მნიშვნელოვნად გადიდდა დიდეფექტიან სამკურნალო-პროფილაქტიკურ საშუალებათა, დიაგნოსტიკური და სამკურნალო აპარატურის, აგრეთვე სამედიცინო ინსტრუმენტების წარმოება.

გასულ წელს განხორციელდა სამუშაოები ქალაქების, დაბებისა და სასოფლო რაიონული ცენტრების კეთილმოწყობის, კომუნალურ საწარმოთა, წყალსადენთა, კანალიზაციის, აბანოების, სამრეცხაოების, სასტუმროებისა და კოლმეურნეთა სახლების მშენებლობის, ტრამვაის, ტროლეიბუსისა და ავტობუსის მიმოსვლის გაფართოების, საცხოვრებელი შენობების გაზიფიკაციისა და თბოფიკაციის დარგში. დიდი სამუშაოები განხორციელდა აგრეთვე ქალაქების ქუჩებისა და მოედნების მოკირწყვლისა და მოასფალტების, ქალაქებისა და სოფლების გამწვანების, ბულვარების, სკვერებისა და პარკების მოწყობის დარგში.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო

საბჭოთა კავშირ-ბელგიის სავაჭრო ურთიერთობისათვის

მოლაპარაკების შედეგად 1954 წლის 30 იანვარს ბრიუსელში ხელი მოაწერეს ოქმს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და ბელგია-ლუქსემბურგის ეკონომიურ კავშირს შორის საქონელბრუნვის შესახებ 1954 წლისათვის. ოქმს ხელი მოაწერეს 1948 წლის 18 თებერვლის შეთანხმების ბაზაზე, რომელიც აწესებს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და ბელგია-ლუქსემბურგის ეკონომიურ კავშირს შორის სავაჭრო ურთიერთობის რეჟიმს.

დადებული ოქმის თანახმად საბჭოთა კავშირი ბელგიასა და ლუქსემბურგში შეიტანს მარცვლეულსა და კოპტონს, ხე-ტყის მასალებს, ცელულოზას, მსუბუქ ავტომობილებს, ფერომარგანეცს, მარგანეცის მადანს, ქრომის მადანს, გაზოილს, ანტრაციტს, ქვანახშირის პეკს, აზბესტს, თუჯს, პატიტ-კონცენტრატს, ბეწვეულს, კონსერვებს, თამბაქოსა და სხვა საქონელს.

თავის მხრივ ბელგია-ლუქსემბურგის ეკონომიური კავშირი სსრ კავშირს მიაწვდის შტაპელის ბოჭკოს, ხელოვნური აბრეშუმის ნართს, შალის ქსოვილებს, ქაშაყს, ცხიმეულს, ხორცს, მცენარეულ ზეთს, ტყავნედლეულს და მზა ტყავს, ტყვიას, თავი ლითონების ნაგლინს და ზოგიერთ სხვა საქონელს. გარდა ამისა, ბელგია საბჭოთა კავშირს აუშენებს სატვირთო თბომავლებს, რეფრიჟერატორულ გემებს, მცურავ ამწეებს, მცურავ ურნალებს, ორთქლის ქვაბებსა და სხვა მოწყობილობას, ამ გემებსა და მოწყობილობას მოაწვდის 1954-1957 წლებში.

ოქმი ითვალისწინებს საქონლის მიწოდების გადიდებას 1953 წელთან შედარებით ერთიორად და უფრო მეტად, აგრეთვე სსრ კავშირსა და ბელგია-ლუქსემბურგის ეკონომიურ კავშირს შორის საქონელბრუნვის შემდგომი გაფართოების შესაძლებლობას.

ოქმს ხელს აწერენ საბჭოთა კავშირის მხრივ—სსრ კავშირის სავაჭრო წარმომადგენელი ბელგიაში ვ. ი. როდნოვი და ბელგიის მხრივ — საგარეო საქმეთა მინისტრი პ. ვან ზეელანდი. ოქმის ხელისმოწერას დაესწრნენ სსრ კავშირის ელჩი ბელგიაში ვ. ი. ავილოვი და ბელგიის საგარეო ვაჭრობის მინისტრი ჟ. მერისი.

ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების ბერლინის თათბირი

ბერლინი, 30 იანვარი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების მეექვსე სხდომაზე თავმჯდომარეობდა ჟ. ბიდო.

გრძელდებოდა განხილვა საბჭოთა დელეგაციის მიერ შეტანილი წინადადებისა — მოწვეულ იქნან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის წარმომადგენლები, რათა მონაწილეობა მიიღონ დღის წესრიგის მეორე პუნქტის — „გერმანიის საკითხი და ევროპის უშიშროების უზრუნველყოფის ამოცანები“ განხილვაში.

თავმჯდომარემ ჟ. ბიდომ აღნიშნა, სურთ თუ არა მინისტრებს კვლავ გამოვიდნენ საბჭოთა დელეგაციის წინადადების გამო გერმანიის ორივე ნაწილის წარმომადგენელთა მოწვევის შესახებ.

ა. იდენმა განაცხადა, რომ მას მიზანშეწონილად არ მიაჩნია მოწვეულ იქნან სხდომაზე აღმოსავლეთ და დასავლეთ გერმანიის წარმომადგენლები.

ვ. მ. მოლოტოვმა თქვა, რომ იგი ცნობად იღებს ბ-ნ იდენის განცხადებას, მაგრამ საჭიროდ მიაჩნია განაცხადოს, რომ საბჭოთა დელეგაცია კვლავ იმ აზრისაა, რომ მიზანშეწონილია მოვიწვიოთ მინისტრების თათბირზე აღმოსავლეთ და დასავლეთ გერმანიის წარმომადგენლები, რათა მოვისმინოთ მათი აზრი გერმანიის საკითხზე.

ჯ. დალესმა განაცხადა, რომ იგი კვლავ იცავს იმ თვალსაზრისს, რომელიც გუშინდელ სხდომაზე გამოთქვა. მე არა ვარ მომზრე ბ-ნ მოლოტოვის წინადადებისა იმის შესახებ, რომ აქ მოწვეულ იქნან აღმოსავლეთ გერმანიისა და ფედერალური რესპუბლიკის წარმომადგენლები, თქვა მან. დაღესმა დასძინა, რომ დასავლეთ გერმანიის მთავრობას თვითონ არ გამოუთქვამს სურვილი მოწვეულ იქნას ოთხი სახელმწიფოს მინისტრების თათბირზე.

ბიდომ განაცხადა, რომ „მიზანშეწონილია გადავდოთ დასავლეთ და აღმოსავლეთ გერმანიის წარმომადგენლების მოწვევა მანამდე, სანამ შეიქმნებოდეს გერმანიის მთავრობა, რომელიც მთელი გერმანელი ხალხის წარმომადგენლობას შეძლებდა“. შემდეგ ბიდომ როგორც თავმჯდომარემ წინადადება წამოაყენა გაგრძელდეს განხილვა დღის წესრიგის მეორე პუნქტისა — „გერმანიის საკითხი და ევროპის უშიშროების უზრუნველყოფის ამოცანები“.

იდენმა განაცხადა, რომ მან უკვე გააცნა გუშინდელ სხდომაზე ზოგიერთი შენიშვნა დღის წესრიგის მეორე პუნქტის შესახებ და შეიტანა ზოგიერთი წინადადება. მე ამას ვერაფერს დავუმატებო, განაცხადა იდენმა.

როგორც ცნობილია, იდენმა გუშინდელ სხდომაზე წამოაყენა გერმანიის გაერთიანების ინგლისურ გეგმა, რომლითაც გათვალისწინებულია შემდეგი „სტადიები“: ეგრეთწოდებული „თავისუფალი არჩევნები“ მთელ გერმანიაში ოთხი მაკუპირებელი სახელმწიფოს კონტროლით, ოთხი სახელმწიფოს მიერ შემუშავებული საარჩევნო კანონის საფუძველზე; ამგვარად არჩეული ეროვნული კრების მოწვევა კონსტიტუციის შესამუშავებლად, რომლის მოლოდინში კვლავ იმოქმედებენ დასავლეთში ბონის ფედერალური რესპუბლიკის ხელისუფალნი, ხოლო აღმოსავლეთში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფალნი; სრულიად გერმანიის მთავრობის შექმნა ეროვნული კრების მიერ მოწონებული კონსტიტუციის შესაბამისად და ამ მთავრობისათვის როგორც ფედერალური რესპუბლიკის მთავრობის, ისე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის რწმუნებათა გადაცემა; მოლაპარაკება გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადების შესახებ, ამასთან გერმანიის სახელით უნდა გამოვიდეს ხსენებული სრულიად გერმანიის მთავრობა. ამ მთავრობას, აღნიშნულია იდენის გეგმაში, „რწმუნება ექნება აიღოს ფედერალური რესპუბლიკისა და გერმანიის საბჭოთა ზონის საერთაშორისო უფლებანი და ვალდებულებანი“.

იდენის მიერ ჩამოყალიბებულ გეგმაში ნათქვამია, რომ მთელი ამ „სტადიების“ მანძილზე ამა თუ იმ ფორმით ძალაში რჩება მაოკუპირებელ სახელმწიფოთა საკონტროლო ფუნქციები, ხოლო უცხოეთის ჯარები გერმანიის ტერიტორიაზე რჩებიან. მაგრამ არაფერი არ არის ნათქვამი იმაზე, თუ როდის და როგორ დამთავრდება გერმანიის ოკუპაცია.

შემდეგ სიტყვა აიღო ვ. მ. მოლოტოვმა, რომელმაც გააკეთა შემდეგი განცხადება:

ვ. მ. მოლოტოვის განცხადება

ნება მიბოძეთ ჯერ გავაკეთო მხოლოდ პირველი შენიშვნები.

გუშინ ჩვენ მოვისმინეთ ბ-ნ იდენის საინტერესო სიტყვა, აგრეთვე მივიღეთ იმ წინადადებათა ვრცელი ტექსტი, რომლებიც ბ-ნ იდენმა შემოიტანა. სავსებით ცხადია, რომ ჩვენ ყურადღებით უნდა შევისწავლოთ როგორც ერთი, ისე მეორე დოკუმენტი.

საბჭოთა დელეგაციის საჭიროდ მიაჩნია მოუსმინოს სხვა კოლეგებსაც გერმანიის საკითხზე.

ბუნებრივია თუ არა ისინი ბ-ნ იდენის მიერ ჩამოყალიბებულ დებულებებს, ეს ჩვენ ჯერ არ ვიცით. ან იქნებ მათ გერმანიის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის სხვა გეგმები აქვთ. ჩვენ ანტერესით მოვისმინეთ ბ-ნ ბიდოს და ბ-ნ დალესის განცხადებებს ამ საკითხზე.

ერთი მხრივ საფრანგეთის, ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობებსა და მეორე მხრივ საბჭოთა კავშირს შორის დიპლომატიური მიწერ-მოწერიდან ჩვენ უკვე ვიცით, რომ დასავლეთის სახელმწიფოები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ გერმანიაში ეგრეთწოდებული თავისუფალი არჩევნების საკითხს. ბ-ნი იდენიც უმთავრესად ამ თემაზე ლაპარაკობდა.

ამ საკითხის მნიშვნელობა არ უნდა შევამციროთ.

საბჭოთა მთავრობა ყოველთვის დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა სრულიად გერმანიის თავისუფალი არჩევნების ჩატარებას. სრულიად გერმანიის თავისუფალი არჩევნები აუცილებელია იმისათვის, რომ უზრუნველვყოთ გერმანიის ორივე ნაწილის მტკიცე გაერთიანება დემოკრატიულ და მშვიდობისმოყვარულ საწყისებზე.

ჩვენ ანგარაშს ვუწევთ იმას, რომ გერმანიაში თავისუფალი არჩევნების საკითხის გაგებაში საბჭოთა კავშირის თვალსაზრისი ზოგ რამეში არ ემთხვევა დასავლეთის სამი სახელმწიფოს თვალსაზრისს.

ჩვენ საქმე ისე წარმოგვიდგენია, რომ ამ შემთხვევაში საბჭოთა კავშირი დასავლეთის სამ სახელმწიფოზე უფრო მეტად არის დაინტერესებული იმით, რომ არჩევნები გერმანიაში ნამდვილად თავისუფალი იყოს, რომ ეს არჩევნები ნამდვილად დემოკრატიული იყოს და ამასთან ხელს უწყობდეს დემოკრატიული გერმანიის შემდგომ განვითარებას მშვიდობისმოყვარულ საწყისებზე.

ჩვენ გვგონია, ნაკლი სრულიად გერმანიას არჩევნების გეგმისა, რომელიც ბ-ნმა იდენმა ჩამოაყალიბა, ის არის, რომ ამ გეგმით გერმანიის არჩევნები ფაქტიურად ექცევა საოკუპაციო ხელისუფალთა ხელში, თვითონ გერმანელები კი ჩაყენებული არიან სხვა სახელმწიფოთა ზურგვის ობიექტის მდგომარეობაში. ამასთან ეს გეგმა მეტისმეტად ზრუნავს იმისათვის, რომ უცხო სახელმწიფოებმა და, უწინარეს ყოვლისა, მაოკუპირებელმა სახელმწიფოებმა ყოველგვარი ზედამხედველობა გაუწიონ როგორც არჩევნების მომზადებას, ისე მის ჩატარებას, ცოტაღა ხომ არ რჩება თავისუფლება ასეთი „თავისუფალი არჩევნებისაგან“?

ყოველ შემთხვევაში, ამის შესახებ უწინარეს ყოვლისა თვით გერმანელებს უნდა შეეკითხოთ. რატომღაც ეს სრულებით არ არის გათვალისწინებული.

იბადება არანაკლებ მნიშვნელოვანი მეორე კითხვა.

ჩვენთვის ჯერ კიდევ ნათელი არ არის, როგორი იქნება საქმის ვითარება გერმანიაში იმ არჩევნების შემდეგ, რომელზეც ბ-ნმა იდენმა ილაპარაკა.

მართლაც, ნამდვილად თავისუფალი იქნება თუ არა გერმანია თავის საშინაო და საგარეო საქმეებში იმ არჩევნების შემდეგ, რომელსაც მას სთავაზობენ? საბჭოთა მთავრობა იმის მხრივაც, რომ სრულიად გერმანიის არჩევნების შემდეგ გერმანიის სახელმწიფო ნამდვილად თავისუფალი იყოს, ნამდვილად თავისუფლად ეწეოდეს როგორც თავის საშინაო, ისე თავის საგარეო პოლიტიკას. ბ-ნ იდენის გეგმიდან ეს არ გამომდინარეობს.

ბ-ნ იდენის წინადადებებში ნათქვამია, რომ „სრულიად გერმანიის მთავრობას რწმუნება ექნება აიღოს ფედერალური რესპუბლიკისა და გერმანიის საბჭოთა ზონის საერთაშორისო უფლებანი და ვალდებულებანი“.

ეს იმას ნიშნავს, რომ ბ-ნ იდენის წინადადებანი ითვალისწინებენ ამ ვალდებულებების ძალაში დატოვებას, რომლებსაც დასავლეთ გერმანიას აკისრებენ ბონისა და პარიზის შეთანხმებანი, და, უფრო მეტიც, ამ ვალდებულებათა გავრცელებას აღმოსავლეთ გერმანიაზეც, რომელიც ამგვარად სავსებით თავისუფალია რაიმე მსგავსი ვალდებულებისაგან. ძალიან ბევრი გერმანელი ამას, რა თქმა უნდა, ვერ დაეთანხმება. ეს საკმაოდ არ არის გათვალისწინებული ბ-ნ იდენის წინადადებებში.

საჭიროა ანგარიში გავუწიოთ გერმანიის როგორც აღმოსავლეთი, ისე დასავლეთი ნაწილის გერმანელთა აზრს. ამასთან არ შეიძლება დავივიწყოთ ის, რომ სწორედ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა წარმოადგენს გერმანელი ხალხის იმ ძალებს, რომლებიც მაისწრაფვიან უზრუნველყონ გერმანიის უსწრაფესი გაერთიანება დემოკრატიულ და მშვიდობისმოყვარულ საწყისებზე. ეს შეესაბამება მშვიდობის ინტერესებს, ევროპის უშიშროების ინტერესებს. ყველა მშვიდობისმოყვარე ქვეყანა მხარს უნდა უჭერდეს ამაში გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას.

რამდენადაც ბ-ნ იდენის გეგმა ემყარება, როგორც ჩანს, იმას, რომ სრულიად გერმანიის არჩევნების შემდეგ გერმანია თავისუფალი არ არის გადაწყვიტოს ის საკითხი, ძალაში რჩება თუ არა ბონისა და პარიზის შეთანხმებანი, რომლებსაც ახლა დასავლეთ გერმანიას თავს აბჯევენ, იმდენად ზედმეტია ლაპარაკი ნამდვილად თავისუფალ გერმანიაზე ამ არჩევნების შემდეგ.

ხომ ცნობილია, რომ ბონის შეთანხმებით ცდილობენ ათეულ წლებით დატოვონ გერმანიისათვის ნახევრადსაოკუპაციო რეჟიმი. მაშასადამე, ამ შეთანხმებით შებოჭილ გერმანიას ხელები თავისუფალი არ ექნება თავის საშინაო საქმეებში, თავის საშინაო პოლიტიკაში.

რაც შეეხება პარიზის შეთანხმებას, აქ პირდაპირ ნათქვამია, რომ იგი გერმანიას ორმოცდაათი წლით მაინც აკავებს სახელმწიფოთა გარკვეულ სამხედრო დაჯგუფებას. მაგრამ თუ სრულიად გერმანიის არჩევნების შემდეგაც გერმანიას არ შეეძლება თავისუფლად გადაწყვიტოს ის საკითხი, ძალაში დარჩება თუ არა პარიზის შეთანხმება, რა თავისუფალ გერმანიაზე შეიძლება ლაპარაკი ამ შემთხვევაში? მართლაც, სულ სხვანაირი მდგომარეობა გამოდის.

პარიზის შეთანხმება ეგრეთწოდებული „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ შესახებ ხელ-ფეხს უხსნის გერმანელ მილიტარისტებს, რომლებსაც შესაძლებლობა ეძლევათ აღადგინონ გერმანიის რეგულარული არმია. ამ შემთხვევაში გათვალისწინებულია ასეთი „თავისუფლება“. მაგრამ ამას საერთო არა აქვს რა გერმანელი ხალხის ნამდვილ თავისუფლებასთან.

საბჭოთა კავშირი სხვა პოზიციას იდგას და მას სურს, რომ ამ პოზიციას შეუერთდნენ დასავლეთის სახელმწიფოები, იხელმძღვანელებენ რა ევროპაში მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების ინტერესებით. ჩვენ უნდა მივაღწიოთ შეთანხმებას იმის შესახებ, რომ სრულიად გერმანიის არჩევნების შემდეგ გერმანია სახელმწიფოთა ამა თუ იმ დაჯგუფებასთან არავითარი შეთანხმებებით არ იყოს დაკავშირებული, რომ გერმანია მტკიცედ დაადგეს მშვიდობიან და დემოკრატიულ გზას და რომ იგი თავისუფლად წყვეტდეს არა მარტო თავის საშინაო საქმეებს, არამედ თავის საგარეო საქმეებსაც.

ჩვენ უნდა ვიზრუნოთ იმაზე, რომ გერმანია აღორძინდეს როგორც ერთიანი და დამოუკიდებელი, დემოკრატიული და მშვიდობისმოყვარე გერმანიის სახელმწიფო. ასეთი ნამდვილად თავისუფალი გერმანია არასოდეს არ გახდება საფრთხე თავისი მეზობლებისათვის და, როგორც ერთ-ერთი დიდი სახელმწიფო, ღირსეულ ადგილს დაიკავებს ევროპის მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოთა შორის.

ასეთია საბჭოთა დელეგაციის პირველი შენიშვნები განსახილველ საკითხზე.

შემდგომ განცხადებაში ჩვენ ჩამოვაყალიბებთ ჩვენს პოზიციას და წინადადებებს გერმანიის საკითხზე.

• • •

შემდეგ გამოვიდა დალესი, რომელმაც ჩამოაყალიბა ამერიკის შეერთებული შტატების პოზიცია განსახილველ საკითხზე. მან დაიწყო იმაზე მითითებით, რომ ისტორიული გამოცდილება მოითხოვს ერთობლივად იქნას განხილული როგორც გერმანიის საკითხი, ისე ევროპის უშიშროების უზრუნველყოფის საკითხი. ამ ქალაქიდან, სადაც ჩვენ სხდომები გვაქვს, თქვა დალესმა, გაჩაღებულ იქნა ორი მსოფლიო ომი, თითბირზე წარმოდგენილი ოთხი ქვეყნიდან ორმა — საფრანგეთმა და საბჭოთა კავშირმა — განიცადა შესევა როგორც პირველი, ისე მეორე მსოფლიო ომის დროს, ხოლო ინგლისს თავს ესხმოდნენ ჰაერიდან. ჩვენს ოთხივე ქვეყანას ორჯერ მოუხდა შეეგროვებინა მთელი თავისი ადამიანთა და მატერიალური რესურსები, რომ წინააღმდეგობა გაეწია გერმანიის აგრესიისათვის.

შემდეგ დალესმა განაცხადა, რომ ოთხი სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესები მოითხოვს გაკეთდეს ყველაფერი, რაც შესაძლებელია, რომ დაშვებულ არ იქნას გერმანიის აგრესიის გამეორება. მან აღნიშნა, რომ საკითხს, რომელსაც თათბირი განიხილავს, ორი მხარე აქვს: ჯერ-ერთი, თქვა მან, საჭიროა გერმანიის გაერთიანება, ხოლო, მეორე, იმის უზრუნველყოფა, რომ ეს გაერთიანებული გერმანია მშვიდობიანი გერმანია იყოს.

ამ დეკლარაციული განცხადების შემდეგ დალესი გადავიდა გერმანიის საკითხის გადაწყვეტის კონკრეტული გზების საკითხზე. ამასთან მან განაცხადა, რომ იწონებს იდენის მიერ წამოყენებულ გეგმას და იგი „ნათელ, გონივრულ და მიზანდასახულ“ გეგმად მიაჩნია. დალესმა აღნიშნა, რომ აზრთა გაცვლა-გამოცვლის მიმდინარეობაში შეიძლება გამოთქმულ იქნას წინადადებანი იდენის გეგმის დეტალების ზოგიერთი ცვლილების შესახებ. ეს წინადადებანი შეიძლება განხილულ იქნას, თქვა დალესმა. მაგრამ საერთოდ მისაღებად მიმაჩნია ბრიტანეთის წინადადება.

თავისი გამოსვლის შემდეგი ნაწილი დალესმა მოანდომა იმის დამტკიცების ცდებს, რომ ევრეთწოდებულ „თავისუფალ არჩევნებს“, რაც იდენის გეგმით არის გათვალისწინებული, თითქოს შეუძლია უზრუნველყოს გერმანელი ხალხის ნების ნამდვილი გამოვლინება. მაგრამ დალესმა თვითონვე უარყო თავისი მტკიცება, განსაკუთრებით გაუსვა რა ხაზი იმას, რომ ეს ეგრეთწოდებული „თავისუფალი არჩევნები“ სრულებით არ იქნება უზრუნველყოფილი საოკუპაციო ხელისუფალთა ზედამხედველობით უნდა განხორციელდეს.

შეეხო რა ევროპის უშიშროების უზრუნველყოფის საკითხს, დალესმა გაიმეორა დიდი ხნის წინათ მხილებული ამერიკული თეზისი, რომ ევროპის უშიშროება თითქოს შეიძლება უზრუნველყოფილ იქნას დასავლეთ ევროპის ქვეყნის გაერთიანებით ეგრეთწოდებულ „ევროპის თავდაცვითს გაერთიანებად“, რომელიც, როგორც ცნობილია, ხელ-ფეხს უხსნის გერმანელ მილიტარისტებს რევანშისტული არმიის ასაღორძინებლად დასავლეთ გერმანიაში.

დალესმა აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სურვილია „ევროპის თავდაცვითი გაერთიანება“ დაუკავშირდეს დასავლეთის სახელმწიფოთა სხვა სამხედრო დაჯგუფებას — ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკს.

დალესმა თავისი გამოსვლა დაამთავრა განცხადებით, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სურვილი თითქოს არის უშიშროების უზრუნველყოფა ევროპაში.

შემდეგ გამოვიდა ბიდო, რომელმაც ჩამოაყალიბა საფრანგეთის დელეგაციის თვალსაზრისი. მან თქვა, რომ დღის წესრიგის მეორე პუნქტის ფორმულირება იმის მაჩვენებელია, რომ არსებობს კავშირი გერმანიის საკითხსა და ევროპის უშიშროების საკითხს შორის. ბიდომ განაცხადა, რომ იგი სადავოდ არა ხდის ასეთი კავშირის არსებობას, და ირწმუნებოდა, რომ საფრანგეთის დელეგაციის მისწრაფებაა გერმანიის საკითხის ასეთი გადაწყვეტა, რომელიც ყველა ხალხის უშიშროების საკითხის დამაკმაყოფილებელ გადაწყვეტაში შეტანილი წვლილი იქნებოდა. მაგრამ შემდეგ ბიდო იცავდა პოლიტიკას, რომელსაც დასავლეთის სახელმწიფოები ახორციელებენ, — დასავლეთის სახელმწიფოთა იმ სამხედრო დაჯგუფებაში გერმანიის ჩაბმის პოლიტიკას, რომელიც ევროპის თავდაცვითი გაერთიანების სახელწოდებით არის ცნობილი. ბიდომ გაიმეორა მტკიცება, რომ გერმანიისა და ევროპის გათიშვის ასეთი პოლიტიკა თითქოს თავს მოახვიეს დასავლეთის სახელმწიფოებს, მტკიცება, რომელიც ნამდვილ ფაქტებს არ შეესაბამება. ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო საქმეთა მინისტრების მსგავსად, ბიდო ამტკიცებდა, რომ გერმანიის საკითხის გადაწყვეტა დაწყებულ უნდა იქნას უწინარეს ყოვლისა გერმანიაში ეგრეთწოდებული „თავისუფალი არჩევნების“ მოწყობით. იგი აგრეთვე ცდილობდა საქმე ისე წარმოედგინა, თითქოს ეგრეთწოდებული ევროპის თავდაცვითი გაერთიანება „უშიშროების გარანტიებს“ აძლევდეს ევროპას.

ბიდომ განაცხადა, რომ იგი იწონებს იდენის გეგმის ძირითად გეხს. იგი ამტკიცებდა, რომ ეს გეგმა თითქოს მიმართულია გერმანიის ერთიანობის აღდგენისაკენ.

როცა ბიდომ დაამთავრა თავისი პოზიციის ჩამოყალიბება, იდენმა განაცხადა, რომ შემდეგ სხდომაზე იგი უპასუხებს მინისტრების შენიშვნებზე მის მიერ წარმოდგენილი გეგმის შესახებ.

მინისტრები შეთანხმდნენ, რომ შემდეგ სხდომაზე შეიკრიბებიან 1 თებერვალს. სხდომა შედგება გერმანიაში სსრ კავშირის უმაღლესი კომისრის რეზიდენციაში უნტერ-დენ-ლინდენზე.

ვ. მ. მოლოტოვის შეხვედრა ჯ. დალესთან

ბერლინი, 30 იანვარი. (საკდესი). დღეს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს ვ. მ. მოლოტოვს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანთან ბ-ნ ჯ. დალესთან ჰქონდა საუბარი, რომელიც მიეძღვნა აზრთა გაცვლას იმის შესახებ, თუ როგორი იქნება პროცედურა მოლაპარაკებისა პრეზიდენტ ეიზენჰაუერის 1953 წლის 8 დეკემბრის გამოსვლასა და საბჭოთა მთავრობის გასული წლის 21 დეკემბრის განცხადებასთან დაკავშირებით ატომის ენერგიის გამოყენების საკითხზე.

დარბაზობა სსრ კავშირის ქაბულის საელჩოში

ქაბული, 31 იანვარი. (საკდესი). სსრ კავშირის ელჩმა აღნიშნულ ქვეყანაში 29 დეკემბერს 1954 წლის 30 იანვარს საღამოს დარბაზობა გამართა და კავშირებელი, რომ ბელორუსიის იქნა შეთანხმება სსრ კავშირ— [illegible] ტექნიკური დახმარების ფონდის შესახებ. საღილზე იყვნენ ავღანეთის პრემიერ-მინისტრი, მისი პირველი მოადგილე, პრემიერ-მინისტრის მეორე მოადგილე, რომელიც ამავე დროს საგარეო საქმეთა მინისტრია, ეროვნული ეკონომიკის მინისტრი, სამოო საქმეთა მინისტრი, მეწამთმოქმედების დეპარტამენტის უფროსი.

ელჩმა და პრემიერ-მინისტრმა მეგობრული ტოსტები წარმოთქვეს ერთმანეთის და ისურვეს სსრ კავშირსა და ავღანეთს შორ